140
1984/2

ISSN 0132 — 5973

ჯეოდეზია

6
1984

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნების ნორჩი ჭომპეპები

თემურ ცაგარელი

ავტორის ფოტო

ჩვენი რესპუბლიკის ბუნების ნორჩი დამცველები ცამეტჯერ უკვე შეიკრიბნენ და წელს მეთოთხმეტე შეკრებისათვის ემზადებიან, რათა სამშობლოს უპატაკონ პიონერული ხუთწლედის საქმეების შესახებ. სხვებთან ერთად ამ შეკრებისათვის გულმოდგინედ ემზადებიან ასპინძის რაიონის პიონერებიც. ბუნების ქომაგები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ სახელი არ შეირცხვინონ და პირნათელნი წარსდგნენ შეკრებაზე.

ჯერ იყო და, 1982 წლის აპრილში, როცა დუშელმა კომკავშირელებმა მოწოდებით მიმართეს საქართველოს ახალგაზრდობას, ხრიოკ და მოტიტვლებულ ფერდობებზე კაკლის ხის ტყეები გავაშენოთო, ასპინძელებმა მხურვალედ აიტაცეს ეს იდეა და დაბაში გზის პირებზე ორმოცი კაკლის ხე დარგეს, მერე კი სკოლის შემოგარენზეც იზრუნეს, სასწავლო ნაწილის გამგის, ნიკოლოზ დიასამიძის ხელმძღვანელობით, შრომისმოყვარე ბიჭები მწკრივში ჩადგნენ. აქეთ ზურაბ ლეკიშვილი და ბორის ქუქჩიშვილი თხრიდნენ ორმოებს, იქით გურამ ლონდარიძემ და ნუკრი რიჟამაძემ დაჰკრეს ბარი მიწას და როცა საჭირო სიღრმის ორმოები მზად იყო, ზაქრო ურუშაძემ და სხვებმა ვაშლისა და კაკლის ხის ნერგები მოარბენინეს. დაბოლოს, სკოლის გარშემო, ღობის გასწვრივ წიწვოვანები ჩარგეს.

21 აპრილს, როცა რაიონის მშრომელები ერთსულოვნად გამოვიდნენ ლენინურ შაბათობაზე, უფროსებს არც უმცროსები ჩამორჩნენ, — ასპინძელი გოგო-ბიჭები მხარში ამოუდგნენ მათ, ჯერ სკოლის ეზო გაასუფთავეს ქვა-ღორღისაგან და მშენებლობის ნარჩენებისაგან, მერე კი თავიანთ სანერგეში სხვადასხვა ჯიშის 150 ხის ნერგი ჩაამწკრივეს ლამაზად.

— აი, მოღონიერდებიან თუ არა ესენი, — ნორჩ ნარგავებზე მიგვითითა რაზმის ხელმძღვანელმა კაკო გიორგაძემ, — ჩვენი რაზმის გადაწყვეტილებით, ფიჭვისა და ნეკერჩხლის ნერგებს საჩუქრად გავუგზავნით ჩვენს გორელ თანატოლებს, დაე, მათაც ახარონ ჩვენებური, მესხური ჯიშის ხეები.

„მწვანე საგუშაგოს“ გვერდით არანაკლებ საინტერესო საქმეს აკეთებენ „ცისფერი საგუშაგოს“ წევრებიც. აი, რა გვიამბო საგუშაგოს წევრმა მალხაზ თედორაძემ:

— მდინარე ორთისწყალი ასპინძას ორ ნაწილად ჰყოფს და მერე მტკვარს უერთდება. ორთისწყალი ცივი, ანკარა და დაუდგრომელია. ასეთ მდინარეში უყვარს ნავარდი საქვეყნოდ განთქმულ კალმახს. სამწუხაროდ, მდინარის ის ნაწილი, რომელიც დაბაში მიედინება, ბოლო დრომდე სისუფთავით თავს ვერ მოიწონებდა. ზოგიერთი დაუდევარი ნაგავს პირდაპირ მდინარეში ჰყრიდა და კალმახიც იქაურობას გაეცალა, საგრძნობლად იკლო მისმა რაოდენობამ. აი აქ ჩვენი „ცისფერი საგუშაგოს“ წევრებმა თქვეს თავიანთი სიტყვა: მათ დაუნდობელი ბრძოლა გაუმართეს ანტისანიტარიას. ხშირად აწყობენ რეიდებს სახაპიროს გასწვრივ, თვითონაც ასუფთავებენ და ახლომახლო მცხოვრებლებსაც სთხოვენ დახმარებას ამ საქმეში. რეიდებმა კარგი ნაყოფი გამოიღო. მალხაზ გიორგაძე და კახა ცინცაძე, პავლე ხითარიშვილი და დავით ქუქჩიშვილი, საერთოდ,

17.736

*** სოფელ ძველის მკვიდრი ყმაწვილები გულმოდგინედ ამუშავებენ სკოლის საცდელ ნაკვეთს.**

„ცისფერი საგუშაგოს“ ყველა წევრი ახლა სამართლიანად ამაყობს იმით, რომ ორთისწყალში ისევ მომრავლდა კალმახი.

ასპინძის სკოლის კურსდამთავრებული გოჩა გიორგაძე თვრამეტი წლისა იყო, როცა სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობა მადლობას უხდიდა სკოლას და მშობლებს გოჩას აღზრდისათვის — გოჩა საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების წარჩინებული მებრძოლიაო. მოგვიანებით მოსულმა მეორე წერილმა კი სამწუხარო ამბავი ამცნო მშობლებსა და სკოლას — ერთ-ერთი სამსახურებრივი დავალების შესრულებისას გოჩა დაიღუპა...

„მწვანე საგუშაგოს“ წევრმა მამუკა მაზმიშვილმა გადაწყვიტა, თავისი სახლის მახლობლად, შიშველ ფერდობზე გოჩას სახელზე გააშენოს კაკლის ხის ხეივანი. მამუკამ თავისი გულისნადები უფროს პიონერხელმძღვანელს მზია ძერიას და რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეს ლალი ბერიძეს გაანდო.

მზია ხელმძღვანელმა გადაწყვეტილება მოუწონა:

— ყოჩაღ, მამუკა, ეს კარგი საქმე მოგიფიქრებია! მაგრამ მარტოს გაგიჭირდება. ესეც არ იყოს, ხომ არ აჯობებდა, იმ ხეივანში ჩვენი დაბის ყველა შინმოუსვლელის სახელის უკვდავსაყოფად თითო ხე დაგვერგო და „შინმოუსვლელთა ხეივანი“ გვეწოდებინა?

მამუკას მთელი კლასი აღოუდგა მხარში, ნიჩბებითა და ბარებით შეიარაღებული გოგო-ბიჭები შეესივნენ ფერდობს და ერთწლიანი კაკლის ხის ნერგები მწკრივებად ამოღებულ ორმოებში ჩარგეს. გაივლის რამდენიმე წელი და „მწვანე საგუშაგოს“ წევრები: დათო ივანიძე, დავით ჭიკაიძე, ნინო და მარინე

*** ასპინძელი მალხაზ გიორგაძე, მირიან ბერიძე და გიორგი გვირჯიშვილი ვაშლის ხის ვარჯს კირით ათეთრებენ ***

წითლანაძეები, კახა მარუაშვილი და სხვები ზეიმით აღნიშნავენ „შინმოუსვლელთა ხეივნის“ გახსნას.

„ცისფერი საგუშაგოს“ ყველა წევრი აქტიურად მონაწილეობს ოპერაციაში „ცოცხალი ვერცხლი“. ასპინძის შესასვლელში, მტკვრის მარცხენა ნაპირთან, ავტოგარაჟის უფროსის ნიკოლოზ თევდორაძის ინიციატივით მოეწყო ოთხი ჰექტარი ფართობის ტბორი. აქ გაშვებულია 1983 წელს თელავის რაიონის სოფელ კონდოლის მეთევზეობის სეფურნეობიდან ჩამოყვანილი ჭანარის ლიფსიტები. თევზსაშენს უვლის თედო ნარიმანიძე. მას მხარში უდგანან „ცისფერი საგუშაგოს“ წევრები. ბუნების ნორჩი ქომაგები სწავლობენ თევზის ბიოლოგიურ თავისებურებებს, კვებავენ, აწვდიან კომბინირებულ საკვებს, ქატოს. მალხაზ და თინა თედორაძეები, ხათუნა ღუღუნიშვილი, ავთანდილ ალელიშვილი და სხვები ტბორის ხშირი სტუმრები არიან, უვლიან და ასუფთავებენ გარემოს, ეხმარებიან უფროსებს ნაპირების გამაგრებაში. მაია ნარიმანიძე, ხათუნა ლეკიშვილი, გია ტივაძე და ბესიკ ლონდარიძე გულმოდგინედ სწავლობენ წყალსაცავის ფლორასა და ფაუნას, მის გავლენას ჭანარის ზრდა-განვი-

საქართველოს ალკა ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

გამოდის 1926 წლიდან

ჯიბანელი

6 ივნისი 1984

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯ. მარ[illegible]ის [illegible] [illegible] [illegible]

ნორჩ მეგობარნეთა მუუაითი გარჯა უხვი მოსავლის საწინდარია.

მართავენ. ბიოლოგიის მასწავლებლის, დარეჯან ბერიკაშვილის ხელმძღვანელობით ბუნების ნორჩი ქომაგები მრავალმხრივ საინტერესო ცდებს ატარებენ: ადგილობრივი ტყის პანტის თესლისაგან მიღებულ ნერგზე გულაბი დაამყნეს, სინაპი მაჟალოსთან შეაჯვარეს და ფიქრობენ, ასეთი სელექციური გზით მიიღონ ყინვაგამძლე ჯიშები.

„მწვანე საგუშაგოს“ წევრები უფრო შორს წავიდნენ: ცდილობენ მიიღონ ბრინჯისა და ფეტვის ისეთი ყინვაგამძლე ჯიშები, რომლებიც შეეგუებიან აქაურ კლიმატურ პირობებს.

ინგილო ქალის, დარეჯან ბერიკაშვილის დამსახურებაა ისიც, რომ მან სოფლების — ალიბეგლოსა და ქოთოქლოს პიონერები სოფელ ძველის ბუნების ნორჩ ქომაგებს დაუმეგობრა. საქმიანი მიმოწერა, ბუნების დაცვის ამა თუ იმ საკითხზე აზრთა გაზიარება და ურთიერთდახმარება აკავშირებთ თანატოლებს.

ამ ორიოდე წლის წინათ ძველის პიონერებმა ალიბეგლოელი და ქოთოქლოელი პიონერებისაგან ბარათი მიიღეს. მეგობრები იტყობინებოდნენ, რომ მათი სკოლების ეზოებში ლაფანჭამიებმა წიწვოვანი ნარგავები განადგურებამდე მიიყვანეს, და რჩევა-დარიგებას სთხოვდნენ თანატოლებს. მესხმა ბუნების ნორჩმა დამცველებმა არ დაიყოვნეს, — საჭირო ლიტერატურაც მიაშველეს და თან სათუთად გამოზრდილი ორ-სამწლიანი ფიჭვის ნერგებიც გაუგზავნეს.

ასპინძის სატყეო მეურნეობის სოფელ ძველის სატყეოს უფროსი გიორგი ზედგინიძე მარჯვენას უქნებს ბუნების ნორჩ ქომაგებს.

— აბა, რომელი ერთი დავასახელო, — ღიმილით თქვა მან. — ზაზა, ზაირა, ირინე, ნაირა ზედგინიძეები და კიდევ ბევრნი სხვანი საქმის დიდი სიყვარულით შრომობენ.

და ეს მართლაც ასეა. ჯერ კიდევ შარშან მარტო ჩამოჭერას ფერდობებზე „მწვანე საგუშაგოს“ წევრებმა თორმეტ ჰექტარზე ფიჭვის, ხოლო ოთხ ჰექტარზე კაკლის ხეივნები გააშენეს, წელს კი ნასოფლარ ჭურაში შემორჩენილი ტერასების ოცდაერთ ჰექტარზე გადაჭიმეს ფიჭვის, მაჟალოს, იფნისა და ნეკერჩხლის სანერგეები.

წარმატებით მიმდინარეობს ოპერაცია „მწვანე აფთიაქი“. საგუშაგოს წევრებმა გასულ წელს დარგეს და ახარეს სამკურნალო მცენარეები — ასკილი, კოწახური, კუნელი...

ბუნების ნორჩ დამცველთა მე-14 რესპუბლიკური შეკრებისათვის მესხი პიონერებიც აქტიურად ემზადებიან, რათა დედა-სამშობლოს თავიანთი მიღწევების შესახებ უპატაკონ.

თარებაზე. დაკვირვების შედეგად ბავშვებმა დაადგინეს, რომ, თუ ტბორში წყლის ტემპერატურა ათ გრადუსზე დაბლა ეცემა, თევზი ცხვირით ლაყუჩებამდე შლამში ჩაეფლობა და ასე გარინდული ელოდება დათბობას. ცხადია, ამ დროს ტბორში საკვები არ შეაქვთ, რადგან მას მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია — ბინძურდება წყალსატევი. თუ ყველაფერი რიგზეა, სამთვიანი კვების შემდეგ ჭანარის ლიფსიტა იზრდება და ორასგრამიანი თევზი ხდება.

მუყაითად მუშაობენ და სწავლობენ სოფელ ძველის საშუალო სკოლის პიონერ-მოსწავლეებიც. ზღვის დონიდან 2000 მეტრზე გაშენებული სოფელი თავისი კლიმატით ძალზე განსხვავდება ბარის სოფლებისაგან: გაზაფხული გვიან მოდის, ზამთარი ადრე დგება და, ცხადია, ასეთ პირობებში მცენარეულობას, თუ ის ყინვაგამძლე არ არის, უჭირს და მალე იღუპება. ამიტომაც „მწვანე საგუშაგოს“ წევრები თავიანთ მუშაობასა და დაკვირვებებს სწორედ აქეთ წარ-

მაია ნარიმანიძე, მალხაზ თედორაძე, გესიკ ლონდარიძე ტბორში მოფენილ თევზებს კვებავენ.

თვალწინ ფიქრით და ჭრილვით

ლიანა შეწირული,
თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის
დირექტორი.

ჩემო პატარა მეგობრებო, ჟურნალ „პიონერის“ მკითხველნო! მინდა გესაუბროთ სკოლის ცხოვრების რამდენიმე საკითხის ირგვლივ. თქვენ შესანიშნავად იცით, რომ მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის ყურადღება მიპყრობილია დღევანდელი სკოლისაკენ, იმ კერისაკენ, სადაც ყოველდღიურად გიხდებათ ყოფნა, ცხოვრებაც — ასედაც კი შეიძლება ითქვას.

თბილისის პირველი საშუალო სკოლა თითქმის ორი საუკუნეა, სასახელო საქმიანობას ეწევა. მრავალმა თაობამ მიიღო აქ სულისა და სხეულის წვრთნა და ყოველი თაობის ყველა წარმომადგენლისათვის რომ ეკითხათ შემდეგში, რომელი წლების დაბრუნება გწადიათ ან რომელი დრო დაგრჩათ სასიამოვნო მოგონებადო, უმალვე სკოლაში გატარებულ დღეებს დაასახელებდნენ. მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ ისინი აქ ცოდნით, განათლებით აღიჭურვნენ, არამედ იმიტომაც, რომ სკოლა იყო ის ადგილი, სადაც ყალიბდებოდა მათი ურთიერთსიყვარული, მეგობრობა, პატივისცემა, კოლექტიურობის მაღალი გრძნობა, ურთიერთშეჯიბრება — სტიმული სხვადასხვა საქმიანობისათვის, პიონერული იქნებოდა ის თუ კომკავშირული.

„საჭიროა, რათა თანამედროვე ახალგაზრდობის აღზრდის, განათლებისა და სწავლების მთელი საქმე წარმოადგენდეს მასში კომუნისტური მორალის აღზრდას“, — გვასწავლიდა დიდი ლენინი.

ჩვენი საუკუნის მიწურულისა და 21-ე საუკუნის დამდეგის გრანდიოზული ამოცანები უნდა გადაწყვიტონ იმათ, ვინც დღეს სკოლის მერხს მიუჯდა. მათ უნდა განაგრძონ დიდი ოქტომბრის საქმე, იკისრონ პასუხისმგებლობა ქვეყნის ისტორიული ბედისათვის. პარტია ამოცანად ისახავს აღზარდოს „ისეთი ახალგაზრდობა, რომელიც შეძლებს არა მარტო აითვისოს უფროსი თაობების გამოცდილება, არამედ გაამდიდროს კიდეც იგი საკუთარი წარმატებებით“, — თქვა სკკპ ცკ-ის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ.

სოციალისტური საზოგადოება დაინტერესებულია იმით, რომ ახალგაზრდა თაობა იზრდებოდეს ფიზიკურად განვითარებული, ჯანმრთელი, ხალისიანი, შრომისა და სამშობლოს დაცვისათვის მომზადებული. ამას დიდი სულიერი ძალა დასჭირდება უფროსისა, რომელიც ვერავითარი შეგონებებითა და დავალებებით ვერ გაიტანს ლელოს. მხოლოდ პირადი მაგალითის ძალა, წარსულის გამოცდილების ზომიერად მიწოდება და ბევრ რამეში ინიციატივის დათმობა მოიტანს სასურველ შედეგს... დიახ, მოსწავლეთა თვითმმართველობაზე საგანგებოდ იმსჯელეს. იგი ხომ მართლაც ეფექტურია. ამიერიდან მოსწავლეთა თვითმმართველობა კიდევ უფრო გაძლიერდება, თუმცა მას, რასაკვირველია, უფროსის ფხიზელი თვალი უნდა დარაჯობდეს მუდამ. უფრო ფართო გზა უნდა დაეთმოს მოსწავლეთა წამოწყებებს — საგუნდო სიმღერა იქნება ეს, დრამატული წრისათვის პიესის შერჩევა თუ სხვა რამ. ხომ ცნობილია, რა სიხარული ტრიალებს მოსწავლეთა გულში, როცა მათივე ძალებით მზადდება რომელიმე დადგმა. იქნებ ვერ გაუტოლდეს იგი პროფესიული თეატრის დონეს, მაგრამ ეს ხომ მათი საკუთარი ძალებითაა შექმნილი, მათი სურვილი უდევს საფუძვლად. სკოლაში მიღებული სიხარული კი ჭეშმარიტი სიხარულია, რომელსაც ვერაფერი შეედრება. მაგრამ ვიყოთ გულახდილნი და ვთქვათ, რომ ასეთ სიხარულს, სამწუხაროდ, ხშირად ვერ განვიცდით. იქნებ ამის მიზეზი გადატვირთული სასკოლო პროგრამებია? აი, ამაზედაც იზრუნეს ჩვენმა მესვეურებმა და ასეთი დებულება შემოგვთავაზეს: „განათლების შინაარსის სრულყოფისათვის საჭიროა: დავაზუსტოთ შესასწავლი მასალის ნუსხა და მოცულობა, აღმოვფხვრათ სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების გადატვირთვა. ამასთან, გავათავისუფლოთ ისინი ზედმეტად გართულებული მეორეხარისხოვანი მასალისაგან“.

ძალზე სასიხარულოა, რომ საგანგებო ყურადღება ექცევა საზოგადოებრივ-ჰუმანიტარული საგნების სწავლებას. ჭეშმარიტად, ადამიანის ჩამოყალიბების ქვაკუთხედი ჰუმანიტარული საგნებია, რომლებიც მოზარდში აღვივებენ მშვენიერების სიყვარულს, მუსიკის, სიტყვის ხელოვნების შეგრძნებას, სხვა ერების ენით დაინტერესებას, განსაკუთრებით კი — რუსული ენით, რომელიც ხალხთა შორის მეგობრობის გზად და ხიდად გვჭირდება.

მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, ჩემო მეგობრებო, რომ მშვენიერი გარემო — მშვენიერი გრძნობის წარმომშობი — არ არის ცით მოვლენილი რაღაც, ის შრომით იქმნება. შრომა სჭირდება პირად ჰიგიენასაც, ჩაცმულობის, საკუთარი იერის მოწესრიგებას. აბა, წარმოიდგინეთ, რა არაესთეტიკური იქნება სკოლაში თმააბურძგნული, დაჭმუჭნული ფორმით მოსული მოსწავლე! გვჯერა, იგი არაფერს მოუფრთხილდება, მათ შორის — სკოლის ინვენტარსაც, ჰუმანურობას, მაღალ იდეალებს. შრომისადმი დიდი სიყვარული უდევს საფუძვლად. შრომამ შექმნა კაცობრიობის ყველა მონაპოვარი, თვით ადამიანიც... შრომა ისეთივე სასწავლო დისციპლინაა, როგორიც სხვა, უფრო მეტიც — იგი უპირველესი საგანია საგანთა შორის. შრომის ელემენტარულ ჩვევებს ბავშვი პატარაობიდანვე იძენს. საკუთარ სახლში იგი

ცდილობს, ყველაფერი წესრიგში ჰქონდეს. იგი არ დახატავს სასადილო ან საწერ მაგიდაზე, არ დაფხაჭნის, სკამს საზურგეს არ მოამტვრევს. სკოლაში კი, თანატოლთა შორის, ეცვლება ფსიქოლოგია — იბნევა და რატომღაც არაფერი ენანება გასაფუჭებლად. ჩვენ სწორედ მაშინ გვმართებს დიდი პედაგოგიური ტაქტი, რომ ბავშვმა პატივისცემისა და მოვლის გრძნობა საზოგადო საკუთრებაზეც გადაიტანოს. მოსწავლე „ჰიგიენისა და ჯანმრთელობის დაცვის ნორმათა და მოთხოვნათა შესაბამისად უნდა მონაწილეობდეს კლასებისა და კაბინეტების დალაგებაში, თვალს ადევნებდეს სკოლის ეზოების, სპორტული მოედნების სისუფთავესა და კეთილმოწყობას“.

თბილისის პირველ საშუალო სკოლას მოსწავლეთა შრომითი საქმიანობის დიდი გამოცდილება აქვს. მაგალითისათვის გაგიზიარებთ იმ შთაბეჭდილებებს, რომელიც საგარეჯოს რაიონის მანავის კოლმეურნეობაში მესამე შრომით სემესტრში ჩვენი სკოლის მეცხრეკლასელთა საქმიანობამ დატოვა. ბავშვებმა ახლოს გაიცნეს ბუნება თავისი მრავალფეროვნებით და შეიტკბეს ის ანაზღაურებაც, რომელიც ამ შრომას მოჰყვა. სხვათა შორის, დამამთავრებელი კლასის საგამოცდო თემაში ეს შესანიშნავად ასახა ერთ-ერთმა მოსწავლემ. მან ის შრომითი დღეები გაიხსენა და საგულდაგულოდ შეჩერდა იმ ანაზღაურებაზე, რომელიც წილად ხვდა: თურმე რა დიდი სიხარულისა და ბედნიერების მომტანი ყოფილაო საკუთარი შრომით მოპოვებული საფასური...

სკოლის ცხოვრების ახლებური თვალით გადახედვამ ბევრი სიახლე შემოგვთავაზა, რაც, უეჭველია, დიდ სარგებლობას მოგვიტანს. მარტო ის რად ღირს, რომ საგანგებო ყურადღება დაეთმო მოსწავლეთა თაოსნობას: „გავაძლიეროთ მოსწავლეთა კოლექტივების პასუხისმგებლობა და განვამტკიცოთ მათი შეკავშირება, ყოველნაირად დავუჭიროთ მხარი ყველა მათს სასარგებლო თაოსნობას, ინიციატივასა და თვითმოქმედებას, რასაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ნ. კ. კრუპსკაია, ა. ს. მაკარენკო და სახალხო განათლების სხვა გამოჩენილი მოღვაწენი“. აი, რა დიდი უფლებებით ისარგებლებთ თქვენ — პიონერები და კომკავშირელები. უნდა ითქვას, რომ ჩვენ მუდამ ვცდილობდით გავცნობოდით მოსწავლეთა მისწრაფებებს, გაგვეთვალისწინებინა ისინი და შეძლებისდაგვარად შეგვესრულებინა. საამისოდ დროდადრო მათ წერით დავალებად ვაძლევდით კითხვებზე პასუხს ამა თუ იმ საკითხის გარშემო. აი, ახლაც ნაშრომებმა — „როგორი მინდა იყოს პიონერული ორგანიზაცია“ და „როგორ წარმომიდგენია კომკავშირი“ — ბევრი რამ გვითხრეს. ამ ნაშრომებს მრავალი საერთო აქვთ: პასუხისმგებლობა, თავიანთი ორგანიზაციის სიყვარული, თავდადება საქმისათვის, უკეთესი მომავლის რწმენა... ამავე დროს, ყოველ ნაშრომში არის პირადი სურვილებიც, რომელიც უნდათ აქციონ განხილვის საგნად. ასე, მაგალითად, მეოთხეკლასელი თ. ს. წერს იმის შესახებ, რომ ორი მისი თანაკლასელი გოგონა სხვებისაგან განზე დგას. „რა ვუყოთ ამ ბავშვებს?“ — გვეკითხება იგი და თვითონვე პასუხობს: „კარგი იქნებოდა, ამის თაობაზე რაზმის შეკრება ჩატარებულიყო“, ჩანს, ამ მოსწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კოლექტიურობას. „საჭიროა, საბჭოთა ქვეყნის სხვა პიონერებთან უფრო მჭიდრო კავშირი გვქონდეს“, — წერს მეორე. მან ხაზი გაუსვა „უფრო მჭიდრო“ კავშირს, თორემ ყოველ დილით ჩვენი სკოლა უამრავ წერილს იღებს ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებიდან.

მოსწავლეთა ნაშრომებში გამოთქმულია ექსკურსიების, თბილისის გარეუბნების შესწავლის, ცნობილ ადამიანებთან შეხვედრისა და ა. შ. დაუცხრომელი სურვილები.

ვხვდებით ერთგვარ გულისტკივილსაც. მოსწავლე ი. ე. წუხს, რომ იგი და მისი თანაკლასელები არ არიან ისეთი აქტიურები, როგორიც „პიონერსკაია პრავდის“ სტატიათა გმირები — ჩვეულებრივი პიონერები. გამოთქვამს სურვილს, უფრო საფუძვლიანად გაეცნონ პიონერული ორგანიზაციის ისტორიას. იგი თითქოს ეხმიანება პარტიის ცკ-ის აპრილის პლენუმზე გამოთქმულ მოსაზრებას: „აღმზრდელობით მუშაობაში უფრო სრულად გამოვიყენოთ საბჭოთა სახელმწიფოს სიმბოლოები. — სსრკ გერბი, დროშა, ჰიმნი, მოკავშირე რესპუბლიკების გერბები, დროშები და ჰიმნები, სახელმწიფო ჯილდოები და წარჩინების ნიშნები, აგრეთვე პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების სიმბოლიკა“.

ერთი კომკავშირელი თავს იკრიტიკებს: „კომკავშირი უმცროსკლასელთათვის მიუწვდომელი, ზღაპრული სამყაროა. რაოდენ დიდ პატივად მიაჩნიათ მათ კომკავშირელობა. ჩვენ კი რიგიანად არ ვეხმარებით ოცნების განხორციელებაში“.

შეინიშნება საგულისხმო ფაქტი: ჩვენს პიონერებსა და კომკავშირელებს ჯართის, მაკულატურის შეგროვება და მსგავსი დავალებები სურვილს ვერ უკმაყოფილებს. ისინი ხშირად იხსენებენ სამამულო ომში მათი თანატოლების მიერ ჩადენილ გმირობას, პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების ცეცხლოვან დღეებში დაბადებას და დიდ სიძნელეებთან შეჯახებას.

უნდა იცოდეთ, ბავშვებო, რომ ყოველ დროს თავისი სიძნელეები აქვს, თავისი საგმირო ასპარეზი.

ბავშვებს სურთ, კიდევ უფრო საზეიმოდ ტარდებოდეს მათი პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციაში შესვლის ცერემონიალი.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მიზანი ნათელია. განსაკუთრებული როლი ენიჭება პროფორიენტაციის საკითხს. მოსწავლემ სკოლაშივე უნდა შეიძინოს ნებისმიერი პროფესიის პატივისცემა, აირჩიოს თავისი პროფესია. X-XI კლასების შრომითი სწავლება შეეხამება მასობრივი პროფესიების დაუფლებას, რაც უაღრესად საჭიროა მატერიალური წარმოებისა და არასაწარმოო სფეროებისათვის.

პერსონა

ირინე ჯალიაშვილი

მხატვარი თემურ ფხიკიძე

მოთხრობა

ნათლია საღამო ხანს შემოჯირითდა ეზოში. თავდაპირველად ყველას გაუკვირდა მისი სტუმრობა, მერე დათუნას დედამ შეიცხადა: უიმე, დათუნას ნათლია, ჩვენი კირილე ჩამოსულაო. მას მთელი ჯალაბობა აჰყვა.

კირილე ისევ ცხენზე იჯდა, გულიანად იცინოდა და, ნათლული მომგვარეთ, ნათლულიო. გაიძახოდა.

მიჰგვარეს დამორცხვებული, აჭარხლებული ნათლული. დასტაცა ხელი ნათლიამ, [illegible] და წინ დაისვა. მერე ისევ თოხარიკით გააჯირითა ცხენი ეზოში. ბიჭი აღარ უცხოობდა. იჯდა ყინჩად გამართული, — აჩუ, აჩუოო! — ამხნევებდა ცხენს და თან ტუჩებს აწკლაპუნებდა. დათუნას დედა და მამა სახლის კიბესთან იდგნენ და თვალს ადევნებდნენ ნათლია-ნათლულის ჯირითს.

— კირილე! — შეეხმიანა დათუნას მამა, — გეყოფათ, კაცო, მოკვდა პირუტყვი...

სტუმარი უცებ დამორჩილდა, ჩამოქვეითდა, ბიჭს იღლიებში ხელები ამოსდო და ისიც ჩამოასკუპა. დათუნას ენანებოდა ცხენთან განშორება, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა. ისე კი იმედად დაიტოვა, ხვალ ნათლიას ვთხოვ, მარტო მატარებინოსო.

ხვევნა-კოცნისა და მოკითხვის შემდეგ მამამ ცხენი ჩამოართვა სტუმარს.

—ვაჰ, მოგიკლავს, კაცო, მოგიკლავსო, — დანანებით ამბობდა და

თუთის ხისკენ დასაბმელად მიჰყავდა.

კირილე ნირწამხდარი იდგა შორიახლო, ირგვლივ მასპინძლები ეხვეოდნენ და რაღაცას ეკითხებოდნენ, მაგრამ ის „კი, დიახ“ — უგულოდ, დაბნეულად ამბობდა და თან ულვაშს იწიწკნიდა.

დათუნა პირველად ხედავდა ნათლიას და ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა. ბრგე, წარმოსადეგი კაცი იყო. ჭაღარა თმა-წვერი ამშვენებდა, თუმცა ჭაღარას ვერც იტყოდით, რაღაცნაირი ნისლისა თუ ნაცრისფერი გადაჰკრავდა შუბლზე ჩამოწოლილ ქოჩორსა და ულვაშზე. ლაპარაკობდა ხელების შლით, გაუბედავად, ყოყმანით. სიტყვა-პასუხს სწონიდა. მის გარეგნობას არაფრით შეეფერებოდა, მაგრამ არც აუშნოებდა ჩახლეჩილი, თითქოს ხველებისაგან გამომშრალი ხმა. დათუნამ ინატრა კიდეც, ნეტავ მეც შემეძლოს ასეთი ხმის დაყენებაო.

ნათლია ზღვისპირა ქალაქში სახლობდა და ახლა აქაურ სახნავ-სათესებს, ტრიალ მინდვრებსა და ვენახებს ძალზე გაეკვირვებინა.

— ეს რა გქონიათ, ბიჭო, კარგა ხანია, აქეთ არ მიმგზავრია და გამოვფხიზლდი კაცი, — ამბობდა თავისებური ხელების შლით.

მერე შინ შევიდნენ, ნათლია ბუხართან დაჯდა, ხელები ერთმანეთში ჩახლართა და შეფიქრიანებული ისმენდა მასპინძლების ხმამაღალ საუბარს...

დათუნას მამა სოფლის გასაჭირს უყვებოდა სტუმარს. წელს ვენახი დაგვეჩაგრაო, — შესჩიოდა.

— სეტყვამ მოგვაკითხა და წელში გაწყვიტა ვაზი, — სწუხდა პაპა.

— აი, ამას რომ უყურებ, შიგ ჩვენი სისხლი და ოფლია. მალე ამისი დედის გადაკაჭვაც მოგვიწევს, — ღვინით სავსე ჭიქაზე ანიშნებდა სუფრაზე შემოსწრებული მეზობელი სანდრო.

— რათა, ბიჭო, რათა, — უკვირდა სტუმარს და სულ უფრო და უფრო იღუშებოდა.

დათუნაც მათ გვერდით იჯდა, მაგრამ ვერ ისვენებდა. წარამარა წამოხტებოდა ხოლმე და აივანზე გარბოდა. სიბნელეში გარკვევით ისმოდა ეზოში მიტოვებული ცხენის ხმამაღალი ფრუტუნი და ამოოხვრასავით გაბმული ხვიხვინი.

ბიჭი ყურს უგდებდა ამ ხვიხვინს. ერთი სული ჰქონდა მიახლოვებოდა, მაგრამ უფროსების ლაპარაკი აფრთხობდა და ისევ შინ შერბოდა.

დიდხანს დაბორიალობდა სუფრის გარშემო. მერე ვეღარ მოითმინა, ნათლიას გვერდით მიუჯდა და იდაყვით მუხლზე დაებჯინა. შემოხედა შეზარხოშებულმა სტუმარმა, თავზე ალერსიანად გადაუსვა ხელი, მოეწონა ნაზი ბიჭი, წრიპა, მაგრამ დიდგული. რაღაცით ჰგავდა კიდეც თავის ნათლიას. ციმციმა ცისფერი თვალები ცნობისმოყვარე შუქით უბრწყინავდა. ჩასჭიდა სტუმარმა მაჯაზე ხელი, თავისკენ მიიზიდა და მუხლზე დაისვა.

— რა იყო, ვაჟკაც, მოგწყინდა ჩვენთან ყოფნა? — ჰკითხა ალერსიანად.

ბიჭი გამოცოცხლდა.

— არა, — შესცინა ნათლიას და შუბლს ქვემოდან მიელაციცა. — ნათლია, ჩვენამდე სულ ცხენით ჩამოხვედი?

ნათლიამ თავი მოიფხანა.

— კი. მასეა. ცხენით...

— არ გეცოდებოდა? ხომ დაიღლებოდა?! — სიბრალული ჩაუდგა დათუნას ხმაში. ნათლიაც მოიღუშა.

— რავა არ მეცოდებოდა, ძამა, მე და ეგ ცხენი ერთად დავბერდით. აღარც სიარულის თავი აქვს და აღარც ფეხზე დგომისა, მაგრამ რა ვქნა? ვიფიქრე, წავიყვან იქითობას, ჩემს ნათლულთან ცოტას გაერთობა-მეთქი, — ეშმაკურად ჩაეცინა ულვაშებში.

დათუნას გაუხარდა.

— რა ჰქვია?

— რა ჰქვია და, აქილევსი, — თავმომწონედ მიუგო ნათლიამ.

—რაო? — დათუნას კინაღამ სიცილი აუტყდა. ეს საბრალო დამჭლევებული პირუტყვი აბა რა მოსატანი იყო ბერძენი გმირის მძლეთამძლე სახელთან.

— რატომ დაარქვი აქილევსი? ტროას გმირია თუ ტროელთა ცხენი?

— მე დავარქვი?! — გაუკვირდა სტუმარს. — ვინცხამ დაარქვა, ძამა... მაგ ცხენი რომ გადმომცეს, უკვე აქილევსი ერქვა, ასე კი ნუ უყურებ, ბებერია, მარა რეკორდს ახლაც ამყარებს, — ოთხი კვირის მანძილი ოთხ დღეში დაკეცა.

— აუჰ, — შეიცხადა ამის გაგონებაზე დათუნას მამამ, — მოგიკლავს პირუტყვი, კაცო...

— კი, მასეა, — მწუხარებით დაეთანხმა სტუმარი, — მოვკალი, მარა თვითონაც კმაყოფილია და მეც. რავა, არ ენახა ჩემი ნათლული? — დასძინა ხუმრობით და ხმაში ნაღველი გაუკრთა, — რაც მაგას დღეები უნახავს! მამაცობისათვის მედლები აქვს მიღებული. ფრონტზე არ წასულა, ზურგში იბრძოდა, მარა კარგად იბრძოდა. ერთად გადაგვქონდა ტყვია-წამალი პარტიზანებისათქის.

ბიჭი პირდაღებული უსმენდა ნათლიას და აგონდებოდა თუთის ხეზე მიბმული დაღლილი ცხენი. „საბრალო აქილევსი! — გული მოეწიწკნა ბიჭს, — ასეთი გმირი ახლა ეზო-

ში მარტოდმარტო უნდა იდგეს? ალბათ როგორ დარდობს“... მან მორიდებით შეახო ხელი სტუმარს მხარზე.

— ნათლია, ცხენის სადღეგრძელოს დალევა რატომ არ შეიძლება, ჰა?

— ოჰ, ჭკუის კოლოფი, — იყვირა ნათლიამ და ხმამაღლა გაიმეორა მისი ნათქვამი: — მართლაც რატომ არ შეიძლება?

უფროსები ახორხოცდნენ, სასწრაფოდ შეავსეს ჭიქები და ერთხმად შესვეს აქილევსის სადღეგრძელო, მერე სიმღერა წამოიწყეს. ბიჭს უკვე აღარ აქცევდნენ ყურადღებას. შექეიფიანებული ნათლიაც ახლა დათუნას მამას ელულლუღებოდა. ბიჭს ეგონა, კვლავ აქილევსზე ლაპარაკობენო, და უფრო ახლოს იწევდა, მაგრამ დედამ დაუცაცხანა: აქამდე ჯდომა სად გაგონილა, დასაძინებლად მოუსვიო, და ისიც წაჩანჩალდა თავისი ოთახისაკენ.

შუაღამე გადასული იყო, მაგრამ ბიჭს ძილი არ ეკარებოდა. გარედან უფროსების ხმამაღალი ლაპარაკი ესმოდა და ძილგამფრთხალი განუწყვეტლივ ტრიალებდა საწოლში. მერე, როგორც იქნა, ხმაური მიწყნარდა და ირგვლივ მყუდროებამ დაისადგურა.

ბიჭი ჩუმად წამოდგა ლოგინიდან, ტანთ ჩაიცვა და ფეხაკრეფით ჩაიარა კიბე. მთვარე უკვე ამოსულიყო და გვერდზე გადაერეკა ქულაქულა ღრუბლები. სადღაც შორს ჭოტი იძახდა. ხევში წყალი მოჩხრიალებდა. გულაფართხალებული ბიჭი ყურს უგდებდა ღამეულ ჩქამებს, დაძაბული აყურადებდა გარემოს. შიშით არ ეშინოდა, უცნაური იდუმალება და შფოთი ეუფლებოდა მხოლოდ. იგი თუთის ხეზე მიბმულ ცხენს მიუახლოვდა და ჩიჩვირზე ხელი მოუთათუნა.

— ეხ, ჩემო რაინდო, — ჩაიბურტყუნა, — მოგწყინდა მარტო ყოფნა, ხომ? აი, ახლა მე და შენ ერთად გავინავარდებთ...

აღვირი აუშვა და ჩუმად გაიყვანა ცხენი ეზოდან.

ცხენი არ უძალიანდებოდა. მისდევდა ჩუმად, უხმოდ. ხშირ ბალახში იკარგებოდა მისი ფლოქვების ხმა.

გზა სიმინდის ყანებისკენ მიდიოდა. ყანების იქით განაკაფი ტყე იწყებოდა, ტყის შემდეგ — გადახნული საძოვრები.

ბიჭი მიაბიჯებდა მტკიცედ, გაბედულად. თვითონაც არ იცოდა, საით და რისთვის მიდიოდა, მაგრამ სიამოვნებდა ცხენთან ახლოს ყოფნა და ქვეყნის დასალიერამდე შეეძლო მასთან ერთად სიარული.

ბილიკი თანდათან ჯაგნარმა შეცვალა, ამოძირკვული ფესვები გახშირდა, და ისიც წარამარა ბორძიკობდა, მაგრამ სიარული არ შეუწყვეტია, დროდადრო ცხენს მიუტრიალდებოდა ხოლმე და ალერსიანი სიტყვებით აქებდა. პირუტყვს აშკარად დაეტყო კოჭლობა, ხშირ-ხშირად ჩერდებოდა და კისერმოღრეცილი იყურებოდა შორს, გვერდშეწითლებული აღმოსავლეთისაკენ, საიდანაც მზის შუქი უნდა გამოჩენილიყო.

მერე და მერე ცხენი უკვე აღარ ემორჩილებოდა ბიჭს, წარამარა ფრუტუნებდა და უკან იხევდა, ბოლოს ნახნავში ჩაწვა და აღარც ამდგარა. შეშინებულმა დათუნამ ხელი უშვა აღვირს, ცხენის გვერდით ჩაცუცქდა და ხელი გადაუსვა მის ხავერდივით აპრიალებულ გავას. — გეძინება? — ჩაულაპარაკა ხმამაღლა და ირგვლივ მიმოიხედა. მოეჩვენა, თითქოს ბინდბუნდში ვიღაცა უთვალთვალებდა, და უცებ შეეშინდა. ცხენის ფერდთან თავი მიდო და თვალდახუჭული გაყუჩდა. მალე ჩაეძინა კიდეც.

თვალი რომ გაახილა, პირველად გაკაშკაშებული მიდამო დაინახა, მერე ჩიტების გალობა ჩაესმა. გადაშავებულ, ნამით გაჟღენთილ ნახნავს ორთქლის ბოლქვები ასდიოდა. ბიჭი უცებ გამოერკვა, მაგრამ გახევდა: პირუტყვს თავი გვერდზე გადაეგდო, თვალები მიელულა და ფერდები უთრთოდა. დათუნამ კისერზე ხელები მოხვია და სცადა წამოეწია, მაგრამ ვერა, ძალაგამოცლილი ცხენი უღონოდ ეხეთქებოდა მიწას.

— ცხენო, — წამოიტირა ბიჭმა, — ჩემო კარგო ცხენო! — მან სასოწარკვეთით შემოურბინა პირუტყვს. შერე რაღაც მოაგონდა, დაიხარა და სათითაოდ დაუწყო გასინჯვა ფლოქვებს. სამზე ჯერ ისევ შერჩენოდა გაცვეთილი ნალები, მეოთხეზე კი, წინა ფლოქვის ძირზე, ნალი ავარდნოდა და რბილ ადგილზე ღრმა ჭრილობა მოუჩანდა. შიგ შემხმარ სისხლში არეული ბალახი და მიწა ჩარჩენილიყო. დათუნამ სწრაფად გაუშვა ხელი. — ვაი! — ჩაიჩურჩულა შეძრწუნებით და პირუტყვს კისერზე მოეხვია, — იქნებ სისხლი მოგეწამლა, ცხენო...

ცხენს უკვე აღარაფერი ესმოდა, ერთხელ კიდევ წამოიწია, თვალები ფართოდ გაახილა და დაიხვიხვინა, მაგრამ ძალა აღარ ეყო, კისერი კვლავ მოსწყდა და სუნთქვა გაუძნელდა.

ბიჭი გაოგნებული დაჰყურებდა, მერე მუხლებზე დაეცა, ხელები მომუშტა და გამეტებით დაუშინა მიწას.

აგრესორი

მოთხრობა

აგრესორი ერთი ციცქნა, დალეული ბიჭია, მაგრამ ისეთი მჭახე ხმა აქვს, რომ ბაყბაყდევი გეგონებათ. დილიდან საღამომდე უბანში მხოლოდ მისი ჭახჭახი ისმის. ჯერ ხეირიანად განათებულიც არ არის, რომ უკვე ღვიძავს. წამოხტება ლოგინიდან, არ დაიზარებს, ჩაირბენს ეზოს ბოლოში ცოტა თავქვეზე და ციცივი წყლით ხელ-პირს დაიბანს. მერე ჯერ საქათმის კარს გამოაღებს, ქათმებს გამოუშვებს, ახლა — საღორეს კარს, და გოჭებს გამოლალავს, შემდეგ ბოსელს მიაშურებს, ძროხას მოიკითხავს და დარბის ასე აქეთ-იქით, ეზოს ერთი ბოლოდან მეორეში, თანაც გულისგამაწყალებლად გაჰყვირის:

— დედი, მამი, არ გესმით, კაცო? ადექით, მიხედეთ აქაურობას.

დაფეთებული მშობლები შეშინებულები წამოცვივდებიან ხოლმე ფეხზე, აქეთ დედა მორბის ფლოსტებით ფრატუნით, იქით მამა მოიზლაზნება გულმკერდის ფხანით.

— ოჰ, შე მაიმუნო, შენა! კაცს დი-

ლის ძილს არ დააცლი! — ბურტყუნებს ჯერ ისევ ბურანში მყოფი მამა. თავისი საქციელით კმაყოფილი გიგა კი უკვე სკოლაში წასასვლელად ემზადება. არ გეგონოთ, გაკვეთილზე დაგვიანება სჩვეოდეს. არა, მისვლით დროზე მივა, მაგრამ ბუზღუნ-ბუტ-ბუტით ახლა იქ აიკლებს მთელ კლასს.

— რა არის ნეტავი, რა, — ეჩხუბება ვიღაცას, — წესიერად მუხლები ვერ გამიშლია, ფართო მერხი ვერ გააკეთეს?

მის ბუზღუნზე ამხანაგები ჩუმ-ჩუმად იცინიან.

— რა გაცინებთ, ჰა? — ახლა იმათ დაატყდებათ თავს მისი რისხვა, — ვერა ხედავთ, ჩანთა ვერ შემიდევს? ყველას კრიალა მერხები გიდგათ, მე კიდევ მაინცდამაინც უხეირო შემახვედრეთ. — ვიდრე გულს მოიფხანს ჯიჯღინით, მასწავლებელიც შემოაღებს კარს. გაკვეთილი იწყება. ბუზღუნა გიგა, მართალია, ახლა ჭკვიანად ზის, მაგრამ სახეზე მაინც უკმაყოფილება ეტყობა.

— გიგა ბაქრაძე, გამობრძანდი ერთი დაფასთან, მოგვახსენე რა იცი? — გაიძახებს ხანდახან რომელიმე მასწავლებელი.

გიგამ გაკვეთილი იცის, მაგრამ ბუზღუნს ისეა მიჩვეული, რომ აქაც არ იშლის.

— მაინცდამაინც მე უნდა გამიძახოთ? — მიჯიჯღინებს გზადაგზა. მერე მიდგება დაფის გვერდით, ჩამოუშვებს ხელებს, სარგადაყლაპულივით მიაბჯენს ჭერს თვალებს და სხაპასხუპით აბულბულებს გაკვეთილს.

— ოთხიანზე მეტიც გეკუთვნის, — კმაყოფილებას ვერ დამალავს მასწავლებელი, მაგრამ გიგა ბიჭი მიღწეულით არ კმაყოფილდება.

— რათა ოთხიანი? — ზედმეტ კითხვებს რატომ არ მაძლევთ?

ამხანაგები მხიარულად იცინიან, აპილპილებული მასწავლებელი კი ზედიზედ აყრის კითხვებს გავლილი მასალიდან. არც ამაში იჭრება გიგა. შეიძლება ერთზე, ჰა, ორ კითხვაზე შეეშალოს პასუხი, მაგრამ მეტზე არ შეეშლება. სახეგაბადრული მასწავლებელი ოთხიანისთვის ვერ იმეტებს საყვარელ მოსწავლეს.

— არა უშავს, ხუთს გიწერ, ეგ სავალდებულო კითხვები არც იყო, — ეუბნება და თან ჟურნალს ამზადებს.

— რაში მჭირდება შეღავათი, კიდევ შემეკითხეთ, — დამადლებულივით უარობს გიგა ბიჭი, და აჭარხლებულმა მასწავლებელმა აღარ იცის, რით გაუსწოროს ანგარიში ონავარს.

— აგრესორი ხარ, ბიჭო, აგრესორი, სულ ჩხუბზე გიჭირავს თვალი, დაჯექი აბა და სამიანს გიწერ, — ეტყვის გაჯავრებით და კალამს ბორ-მარჯვებს.

— სამიანი არა! — უკვე მართლა ცეცხლდება ბიჭი. — სამიანი რატომ მეკუთვნის, ყველაფერზე გიპასუხეთ.

მასწავლებელმა აღარ იცის, რა ქნას.

— მაშინ, გამოდი და თვითონ დაიწერე, რაც გინდა, — სთავაზობს მართლა გაგულისებული. აქ კი ფარხმალს ჰყრის აგრესორი და ბოლოს და ბოლოს ხუთიანის მინუსზე თანხმდება.

გაკვეთილების შემდეგ შინისკენ მიიჩქარის. გზადაგზა თანაკლასელები აედევნებიან, მაგრამ იმათთვის არა სცალია.

— ეე, აგრესიი, წამო, საკურდღლაოდ მივდივართ.

— ვინ არის თქვენი აგრესი, — ქვას წამოავლებს ხელს გიგა, — მომწყდით თავიდან, — მაგრამ ბიჭები ასე ადვილად ვერ ელევიან, იციან, საცემრად და ქვის გასარტყმელად ვერცერთს რომ ვერ გაიმეტებს, დგანან შორიახლო და ეღრიჭებიან:

— წამო, რა, ბიჭო.

— წამო, რა, გიგა.

გიგა იმათ ლაზღანდარობას მაინც არ აქცევს ყურადღებას, ოჯახის ბურჯად თვლის თავის თავს და შინისკენ მიეშურება გაცხარებით. შევარდება ეზოში და ჭიშკრიდანვე ყვირის:

— დედიი, ი გოჭი რომ დაგიმშვია, ქალო!.. — მერე თავის პატარა დას შეუტევს: — გოგო, თამილ, ჩამო დაბლა, მარტო კუკლაობა ნუ გგონია შენი საქმე, ქათმებს მიხედვა არ უნდა?

თუ დედა შინ არ არის, თამილა

ჩამოცქრიალდება; ის ჯერ მხოლოდ ოთხი წლისაა, მაგრამ საოჯახო საქმეებში ხელი უკვე გაწაფული აქვს.

— ნეტავი რას ჯიჯღინებ, — წარბშეკრული შეუტევს ძმას, — გოჭებსაც ვაჭამე და ბოჩოლაც დავაპურე.

ჰოო, აბა, რადგან მოგვარებული ყოფილა საოჯახო საქმეები, ბიჭს ისღა დარჩენია, ისადილოს და გაკვეთილები მოამზადოს.

საღამოთი მამა მობრძანდება სამსახურიდან. გიგა ბიჭი ხეირიანად სახლში შემოსვლას არ დააცდის, კარებშივე ბუზღუნით მივარდება.

— სადა ხარ აქამდე, ჰა? სამუშაო დღე რა ხანია დამთავრდა, რად დაივვიანე?

მამა მოკრძალებულ ღიმილს ჩამალავს ულვაშებში.

— მაპატიე, უფროსო, ძმაბიჭებში გადავკარი, ცოტა შემაგვიანდა.

— რა დროს ძმაბიჭობა იყო, გუშინდელი სვლა გასაკეთებელი დაგრჩა, უკვე ცხრა საათი ხდება, როდისღა მოვასწრო თამაში, დედა დამაძინებს.

მამა შუბლზე მიირტყამს ხელს.

— აუჰ, ჭადრაკი როგორ დამავიწყდა, კაცო? ნამდვილად წაგებული ვიქნები დღესა, ერიჰაა...

— შენ თავს ნუ იკატუნებ, — ცერად გადახედავს ბიჭი მამას, — შენი სამოწყალო არაფერი მჭირს!

გაწბილებული მამა მხრებსღა იჩეჩავს.

— დამაცადე, ხელი მაინც გადავიბანო, — ეხვეწება და ტანსაცმლის გამოსაცვლელად მეორე ოთახისკენ მიდის.

გიგა ბიჭი ისეა ლოდინისაგან დაღლილი, რომ თამაშის თავი აღარც აქვს. ზის ჭადრაკის დაფასთან და თვალები ელულება. ვიდრე მამა ხელის დაბანას მორჩება, იმას უკვე შუბლი დაუყრდნია დაფისათვის და მშვიდად ფშვინავს.

საპაექროდ გამზადებული მამა ალერსიანი ღიმილით დასცქერის მძინარე ვაჟიშვილს, უნდა, მაგრამ გამოსაღვიძებლად არ ემეტება. — რას იზამ, ეძინოს! — ბუტბუტებს თავისთვის. — მამლაყინწასავით ხვალ უთენიაა ასადგომი, ძილი ხომ უნდა დაუფრთხოს ჯალაბობას!

ᲥᲜᲔᲡᲐᲓ ᲐᲡᲐᲮᲓᲔᲜᲘ ᲝᲮᲜᲔᲯᲐ

ᲜᲘᲜᲝ ᲮᲐᲠᲐᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ

გამომცემლობა „ნაკადულის“ სამეცნიერო-პოპულარული და საკითავგადასვლო ლიტერატურის რედაქციაში, რომელსაც ლილი გოგოხია ხელმძღვანელობს, ოთახის კედლების დამამშვენებელ ცნობილი თუ უცნობი მხატვრების რეპროდუქციათა შორის ერთი დიდებული ნამუშევარიც ჰკიდია: ფიროსმანის „აქიმი ვირზე“... ამ მართლაც შესანიშნავი სურათის ღირსება ღირსებად აღიქმება, მაგრამ არის კიდევ სხვა რაღაც... ის, რაც ხშირად ჩვენთვის განსაკუთრებულად ძვირფასად აქცევს ხოლმე უახლოესი ადამიანის თუნდაც ახირებულ გატაცებასთან ოდნავ მაინც მიახლებულ ასოციაციას...

მთელი სიცოცხლის მანძილზე სახედრების მინიატურული სკულპტურული ფიგურები უგროვებია გატაცებით ქალბატონი ლილის მეუღლეს, — ცნობილ ლიტერატურათმცოდნეს, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატ ნოდარ ალანიას. იშვიათი ოსტატობით ნაძერწი ფიგურებით ჰქონია სამუშაო ოთახის კარადები და თაროები დატვირთული. ეს, ცოტა არ იყოს, უცნაური კოლექცია დღესაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. აქ ნახავთ ცნობილი ლიტერატურული პერსონაჟების სახედრებს, მაგალითად, სანჩო პანსასას, მოლა ნასრედინისას, აქვეა კრილოვის „კვარტეტის“ ერთ-ერთი ყველაზე ენერგიული და ნიჭიერი პერსონაჟიც... მათი უმეტესობა თვით ბატონ ნოდარს შეუძენია, ზოგიც მეგობრების მოძღვნილია და ამის გამო — განსაკუთრებით ნასათუთევი...

სახედრის ამტანობა, გონიერება, გულისხმიერება და ჯიუტი შრომისმოყვარეობა აოცებდა თურმე ბატონ ნოდარს. ეს კოლექციაც ამ სიმპათიების მიზეზით შექმნილა.

თურმე ყოველთვის უკვირდა, ამ საბრალო ოთხფეხის სახელით ერთმანეთის გინება რად აქვსო ჩვენად ადამიანის მოდგმას ოდითგან...

ამიტომაც ტანმორჩილ სახედარზე ამხედრებული ქოლგამომარჯვებული სოფლის აქიმი თითქოს მეუღლის გატაცებასთან ახლოს ყოფნის სიხარულს უხანგრძლივებს ქალბატონ ლილის. ასე — ამ სურათთან პირისპირ მჯდომს თითქოს ისე ძალიან აღარც ცალუღლად ცხოვრება უჭირს და თავის ბავშვობისდროინდელ სიყვარულთან — წიგნთან ფუსფუსიც ხომ ერთიორად და კიდევ უფრო ეხალისება.

ბავშვობის წლები... მათი მოგონებისას თითქოს დადგენაც უჭირს, რომელი როდის, რა ასაკში წაიკითხა. ჩემი თაობის ბავშვებს — ომის თაობისას — ასაკის მიხედვით წიგნებს არავინ გვირჩევდა, რაც ხელში მოგვხვდებოდა, ვკითხულობდითო. მერე ღიმილით, ოდნავი გულისდაწყვეტითაც ყვება, როგორ წაიკითხა პატარა, მეორეკლასელმა გოგონამ ალ. ყაზბეგის მოთხრობები. რამდენმა რამემ დააბნია და განსაკუთრებით კი — ყაზბეგისეულმა, მხოლოდ მისი პერსონაჟებისათვის დამახასიათებელმა „ჩემო ყველამ“... მერე დედამ აუხსნა. ოღონდ, მაინც კარგა ხანი გავიდა, ვიდრე საფუძვლიანად გაიგებდა, მართლაც რა დიდი, მთელი საამქვეყნო და საიმქვეყნო სიკეთის ფასი სდებია დიდი მწერლის მოთხრობებში ამოკითხულ, პატარა გოგონასთვის გაუგებარ მოსაფერებელ სიტყვას...

ერთხელ თანაკლასელმა ბიჭმა (მაშინ უკვე მეხუთე კლასში იყვნენ) მასწავლებელთან დაასმინა, რომანებს კითხულობსო. არასოდეს დაავიწყდება მასწავლებლის დატუქსვა, სამაგიეროდ, კეთილი ქომაგიც მაშინვე გამოუჩნდა — ვეოგრაფიის მასწავლებელი ვალერიან ზუხბაია. იმ დღეს მეხუთე კლასში ახალი გაკვეთილი არ აუხსნია ვალერიან მასწავლებელს, არც მოსწავლეთათვის გამოუკითხავს ძველი მასალა. მთელი ორმოცდახუთი წუთის განმავლობაში ლიტერატურის სიყვარულზე ლაპარაკობდა, დიდი დრო მოანდომა მისი ჟანრების, კერძოდ, რომანის, არსისა და მნიშვნელობის განმარტებას...

დიდ სამამულო ომში გამარჯვების წელს დაამთავრა გალის საშუალო სკოლა, ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე...

მას შემდეგ კიდევ ბევრი სიკეთე მოუტანა ცხოვრებამ: უნივერსიტეტიდან უწმინდესის სინონიმებად წამოყოლილი პროფესორ-მასწავლებელთა სახელები — აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე, ვარლამ თოფურია, ნიკო კეცხოველი, ილია აბულაძე... უამრავი მეგობარი, რომლებიც უნივერსიტეტში იმხანად დაარსებულ ლიტერატურულ წრესთან, ანუ, როგორც სტუდენტები უწოდებდნენ, „ბესოს წრესთან“ (წრის ხელმძღვანელი ბესარიონ ჟღენტი იყო) სიახლოვემ, მის ლიტერატურულ საღამოებზე სისტემატურმა დასწრებამ შესძინა... ოჯახი: მეუღლეობა, დედობა— ქალისათვის ყველაფერზე ძვირფასი ორი მძიმე და, ამავე დროს, საამოვნო უღელი...

1964 წელს დაიწყო მუშაობა გამომცემლობა „ნაკადულში“. მალე ოცი წელი შესრულდება, რაც ერთგულად ემსახურება ქართული საყმაწვილო წიგნის შედგენისა და გამოცემის დიდ საქმეს. ამ ხნის განმავლობაში სიძნელეც ბევრი ახსოვს და დაბრკოლებაც, წარმატებაც და ხელმოუწყობლობაც, მაგრამ საქმეს ყოველთვის კეთილსინდისიერად უძღვებოდა, უძღვებოდა უღალატოდ, ამ საქმის სასარგებლოობასა და სიკეთეში დარწმუნებით, ბავშვების — მისი შრომის შედეგის მომკითხავი ნორჩი მკითხველის წრფელი სიყვარულით.

ლ. გოგოხიას ხელმძღვანელობით ბევრი კარგი წამოწყების ავტორი გახდა გამომცემლობის სამეცნიერო პოპულარული და სათავგადასავლო ლიტერატურის რედაქცია. უკვე რამდენიმე წელია, ეს რედაქცია ძალზე საინტერესოდ თანამშრომლობს ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა რესპუბლიკურ საბჭოსთან. სწორედ ამ შემოქმედებითი თანამშრომლობის საფუძველზე გახდა შესაძლებელი ისეთი საინტერესო მეცნიერულ-მხატვრული კრებულების გამოცემა, როგორიცაა ყოველწლიური ალმანახი „მთიები“ და სერია „ჯადოსნური სარკე“, რომლებიც მეცნიერების უამრავ საინტერესო საკითხზე პოპულარულად მოუთხრობენ ნორჩ მკითხველს. გამოსაცემად მზადდება არანაკლებ საინტერესო კრებულები — „მოგონებები ფიროსმანზე“ და „ქართველ მხატვართა წერილები“, წლეულს დაისტამბა ალ. ქორელის „ნეიროფიზიოლოგია ყველასათვის“, მომავალ წელს გამოიცემა წიგნი გენეტიკის პრობლემებზე: „რატომ ვერ შობს სპილო თაგვს“ და ა. შ.

რედაქციის მიერ მომზადებულ გამოცემებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს იმ წიგნებს, რომლებიც გამოცემულია ქალბატონი ლილის ავტორობით. ეს გახლავთ „ნორჩი თაობის მოამაგენის“ სერიით დასტამბული წიგნები: „მარიამ დემურია“ და „რაზიკაანთ ერთი ძმა“. ეს უკანასკნელი თედო რაზიკაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას აცნობს ნორჩ მკითხველებს.

დიდი შრომა დაახარჯა ლილი გოგოხიამ საქართველოში ახალგაზრდების კომუნისტური ორგანიზაციის დამაარსებლის, ბორის ძნელაძის ცხოვრების შესწავლას. ამ მიზნით რამდენჯერმე ესტუმრა ბორისის მშობლიურ სოფელ ბურნათს, შეხვდა სოფლის უხუცეს მცხოვრებთ, სხვადასხვა არქივებში მოიძია ბორის ძნელაძის პიროვნების ირგვლივ არსებული მასალები. ეს წიგნიც, რომელსაც ავტორმა სათაურად ცნობილი რევოლუციონერის მიხა ცხაკაიას სიტყვები — „ოქტომბრის შვილი“ (ასე უწოდა მან ბორისს) შეურჩია, კარგა ხანია, გამოიცა „კომკავშირელის ბიბლიოთეკის“ სერიით.

მაგრამ უსამართლობა იქნება, თუ ქალბატონი ლილის ავტორობით გამოცემული წიგნების სიაში ღირსეულ ადგილს არ მივაკუთვ-

ნებთ მის თარგმანებსაც. აქ საყმაწვილო წიგნების უბრალო ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანს, მაგრამ ზოგს მაინც შეგახსენებთ: იური ნაგიბინის „ბოშა ბიჭის თავგადასავალი“, სერგეი ბარუზდინის „სავი და შაში“, პამელა ტრავერსის „მერი პოპინსი“, სპირიდონ ვანგელის „გუგუცეს თავგადასავალი“, იური კოვალის „ვასია კოროლოსოვის თავგადასავალი“...

და ისევ, ზემოთჩამოთვლილი წიგნების სია ნამდვილად არასრული იქნება, თუ არას ვიტყვით იმ შემოქმედებით გეგმებზე, რომელთა განხორციელებასაც უახლოეს ხანებში აპირებს ქალბატონი ლილი. მას ჩაფიქრებული აქვს, ერთი წიგნი მიუძღვნას იმ ადამიანთა ცხოვრების აღწერას, რომლებიც ბავშვებისათვის წერდნენ.

აქ, ისევ და ისევ ასოციაციის გავლენით, გვაგონდება ქალბატონ ლილის ამასწინანდელი მონათხრობი — მისი თანამშრომლის ქალიშვილის, პატარა ანუკის ამბავი, გადაშლილ წიგნთან რომ იჯდა და ხმამაღლა ლაპარაკობდა გატაცებით. — რას აკეთებ, ანუკიო? — უკითხავს მისთვის ოთახში შესულ ქალბატონ ლილის. — ნახატები მელაპარაკებიანო, — უპასუხნია ციცქნა გოგოს.

იქნებ ამ პატარა საოცარი გოგონასაგან მოგვრილი შთაბეჭდილებით, იქნებ თავისი შვილიშვილისთვის — წლინახევრის მარიამისთვის საჩუქრის მიძღვნის სურვილით, და იქნებ სხვა გზითაც, მოვიდა ქალბატონ ლილისთან ახალი ოცნება... თუმცა, იქნებ არცთუ ახალი, ადრეც, ბევრჯერ ნაოცნებარიც — შექმნას ისეთი წიგნი, რომელსაც ყველა სკოლამდელი ასაკის ბავშვი, ყველა ანუკი და მარიამი „ჩემს წიგნს“ უწოდებს...

ძნელი ოცნებაა... ძნელზე ძნელად მისაახლებელი, ასახდენი, დასაძლევი და აღბათ სწორედ ამიტომაა, ქალბატონ ლილისთვის იგი ყველა სხვა ჩანაფიქრზე მაცდუნებელი, მნიშვნელოვანი და საინტერესო **რომ არის.**

ნინო ბეზარაშვილი

მხატვარი ი. სამსონაძე

მოთხრობა

რას არ ნახავს ადამიანი სიზმარში! აბა, ეს რაღა სანახავი იყო: ვითომ სადღაც კლდის წვერზე ვიდექი. კლდე ზვავდებოდა, დაბლა-დაბლა მიდიოდა. ვკივი, შველას ვთხოულობ და არავის ესმის ჩემი ხმა. სადაც არის, მოზვავდება კლდე, სადღაც უფსკრულში ჩაინთქება და მეც თან ჩამიტანს. მაგრამ დაბლა ვიღაც გამოჩნდა, თუმცა ვიღაცა კი არა, ახლობელია ჩემი. გიორგი, ანუ გუგული (გუგულის მოფერებით ვეძახით). ჩვენს უბანში გაიზარდა, მამა პატარას მოუკვდა, სულ რამდენიმე თვისას. დედამისი ქალაქში მუშაობდა, გუგული კი სოფელში ბებიასთან იყო, სკოლაშიც იქ დადიოდა. ახლა დგას ქვემოთ და მამხნევებს:

„ნუ გეშინია, ზურიკო, აქა ვარ“! — თან ხელებს უშვერს კლდეს, ძალიან უნდა, რომ შეამაგროს, გადამარჩინოს. მაინც ჩავვარდი, რაღაცას დავენარცხე, შევხტი და გამომეღვიძა.

ღამეა. ისევ ბნელა, მაგრამ რა დამაძინებს! იმ სიზმარს დავტრიალებ ფიქრით, თვალწინ მიდგას გუგული თავისი ბავშვური თვალებით. მიხარია, რომ ვხედავ და მაინც საყვედურით ვეუბნები:

„მაშ, ეგრე შეიძლება? რაც აქედან წახვედი, ერთხელ აღარ ჩამოიხედე. შე კაი კაცო, განა რა უნდა აქ ჩამოსვლას, მატარებლით წამოხვალ თუ ავტობუსით, — ორი საათი, მეტი ხომ არა! დავიჯერო, არ გაგონდება ჩვენი კოხტა უბანი, დიდრონი სახლები, ჩუქურთმიანი აივნები! ვიცი, გეხსომება, ამ უბანს ხალხი პატარა სოლოლაკს რომ ეძახდა. რა თქმა უნდა, სოლოლაკი თბილისშია და იქ სულ სხვანაირი, დიდი, ლამაზი სახლები დგას, მაგრამ თუ დაკვირვებიხარ, ჩვენი უბანი რაღაცით მართლა მიაგავს სოლოლაკს!

ახლა წყალი! რამდენს დავცურავდით, ბიჭო! განა დასარეცხ, ტურტლიან ნავს ვიკადრებდით? დავცლიდით, გოგო-ბიჭებისაგან ჩახინცლულ ნაგავსა და ქვებს ამოვყრიდით, ცოცხით გავშხვეპავდით, კედლებს გავაწკრიალებდით, მერე ისევ ჩავკეტავდით გასასვლელს და, როცა მილიდან გამდინარე კამკამა წყლით პირთამდე აივსებოდა ნავი, მაშინ გადავეშვებოდით. ჩვენ ხომ ვხარობდით, ცხენისა და ძროხის პატრონების გულსაც ვიგებდით, უხაროდათ, იმათი საქონელი სუფთა წყალს რომ სვამდა.

ალბათ არც ის დაგავიწყდებოდა, ჩვენი უბნის ბავშვები სახლის უკან ხევის პირას ფერდაზე რომ გავიდოდით ხოლმე. ხევის გაღმა ამართულ მაღლობზე საღამოობით, მზის ჩასვლისას საოცარ არსებებს ვხედავდით. ვთქვათ, საძოვრიდან კაცს ცხენი მოჰყავდა; როცა მაღლობზე აივაკებდნენ, ცხენი რაღაც აწოწილი ხდებოდა, კაციც თითქოს ცას ებჯინებოდა, იქ მოთამაშე ბავშვები კი ფრთაგაფარჩხულ ფრინველებს ჰგავდნენ. იმ უცნაურ არსებებს ჩვენ მირაჟებს ვეძახდით და იმათ დანახვაზე ვიცინოდით, სულ ვბჟირდებოდით. იმ სიცილში ილეოდა საღამო, ნელ-ნელა ჩამოწვებოდა ბინდი, მაღლობზე უჩინარდებოდნენ მირაჟები, ჩვენც შინ მივდიოდით და წყნარდებოდა, ჩუმდებოდა ფერდობი.

აქ თუ ჩამოხვალ, რამდენ ვინმეს ნახავ, რამდენ რამეს გაიხსენებ, მაგრამ სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ზაფხულის არდადეგებზე ჩატარებული ჩვენი „სპექტაკლები“ მაინც არ უნდა დაივიწყო. აბა გაიხ-

სენე ერთმანეთის მოპირდაპირედ მდგარი ორი სახლის კედელი, იმ კედლებშუა გაბმული ფარდები. ბებიაშენს ძალიან უყვარდი და თუკი რამეს სთხოვდი ჩვენი „თეატრისათვის“, უარს არ გეუბნებოდა. თქვენი ყვითელზოლებიანი ჯეჯიმი და პატარა თითბრის ლამპა სულ იქა გვქონდა. რა ლამაზი იყო ის ლამპა, რა კარგად გვინათებდა სცენას! პიესებს ხომ მე ვწერდი (თუ იმას პიესები ეთქმოდა), რეჟისორობასაც მე ვეწეოდი, დანარჩენი ბავშვები — შოთა, ოთარი, ბიძინა, სიდონია, ქეთია და ანო — მსახიობები იყვნენ. დედას გეფიცები, შენ ყველაზე ნიჭიერ მსახიობად ითვლებოდი. ერთხელ ძალიან კარგად შეასრულე რევოლუციონერ კუზმა ჩუდინის როლი. უჰ, რა იყო! ციხის ბნელ საკანში იწექი და, რაც შეგეძლო, ყვიროდი: „ბაღლინჯოებმა მთლად დამკვნიტეს, მიშველეთო“. აბა, აქ რა არის სასაცილო, მაგრამ შენ ისე ამბობდი, რომ მაყურებელი სიცილით იგუდებოდა. მაყურებელი ხომ გახსოვს, ვინ იყო: ჩვენი ბებიები, ძალუები და სხვა უბნიდან მოსული გოგო-ბიჭები, რომლებიც აგურებზე გადებულ ფიცრებზე ისხდნენ და სცენას შეჰყურებდნენ.

ერთხელ გრანდიოზული საღამოც ხომ მოვაწყეთ ვარო ძალოს დიდ ეზოში. შენ გრძელ ჯოხზე მხრალით ცოცხი დაამაგრე, ბებიაშენის წინსაფარი აიფარე და ისე გვიდი, როგორც კარგი მეეზოვე. დანარჩენები პატარა სათამაშო სარწყავებით ვრწყავდით. დავწმინდეთ, დავანარნარეთ იქაურობა, მერე ნასახლარიდან მოტანილი მყრალი ხის ტოტებისაგან ფარდულები ჩავდგით და შიგ, ტილოგადაფარებულ „ტაბურეტებზე“, ჩვენი ხელით გამომცხვარი პატარ-პატარა ნამცხვრები დაგაწყეთ სხვა უბნიდან მოსული ბავშვებისათვის მისაყიდად. განა ფული გვინდოდა? ჩვენს სოფელში მაშინ ახალგაზრდები ხშირად მართავდნენ გრანდიოზულ საღამოებს და იმათ ვბაძავდით. იმ საღამოს წარმოდგენაც დავდგით, კონცერტიც ჩავატარეთ. რა კარგი იყო! შენ კინტოების სიმღერა იმღერე „ქეთო და კოტედან“. იცეკვე კიდეც. ახლაც თვალწინ მიდგახარ. ბიძაშენის კოკარდიანი ქუდი გეხურა შებრუნებულად, კინტოურად, განიერი შარვალი გეცვა და ხელში ფერად ხელსახოცს აფრიალებდი. თუ დაიჯერებ, ნამდვილ მოცეკვავეს ჰგავდი.

მერე აკი ცეკვავდი დიდ სცენაზე, სურათიც გადაგიღეს კინოში. ვინ იცის, ამ პატარა უბანში ჩატარებულმა წარმოდგენებმა გააღვივეს შენში მსახიობის ნიჭი, შენ კი, არ გეწყინოს და, ვითომც არაფერი, აქეთ გამოხედვაც არ გინდა!

რამდენიმე მანეთი ნამცხვარში რომ ავიღეთ, ხომ იცი, რისთვისაც შევინახეთ? რკინიგზის კლუბის ბაღში ვაპირებდით წასვლას. იქ ერთი ფოტოგრაფი იყო, დეკორატიულ ტიხრებთან და შადრევნებთან უღებდა ხალხს სურათებს. იმ ფულით ჩვენი უბნის „მსახიობებს“ გვინდოდა ერთად გადაგვეღო სურათი. მაგრამ, სანამ ჩვენ იქ წავიდოდით, ერთ დღეს უბანში გაისმა:

— სურათები გადავიღოთ...

ჟივილ-ხივილით გამოვცვივდით საურმე გზაზე. ვხედავთ, მოდის მაღალი, გაფხაჭული კაცი, მხარზე სამფეხა აპარატი აქვს გადებული და გვეკითხება:

— რა იყო, სურათის გადაღება ხომ არ გინდათ?

— გვინდა, მაშ არ გვინდა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რამდენი ხართ?

სწრაფად გადავავლეთ ერთმანეთს თვალი და ვუპასუხეთ:

— რვანი.

— დადექით, გადავიღოთ! — თქვა ფოტოგრაფმა, მერე თავისი აპარატი მხრიდან ჩამოიღო და იქვე, ვაკე ადგილას ჩადგა. ხელათვე მოვარბენინეთ სკამები, შევისწორეთ ტანსაცმელი, თმა დავივარცხნეთ და დავსხედით, ზოგი — სკამზე, ზოგიც — დაბლა, მიწაზე. ვიცინით, ვურიამულობთ, ერთი ამბავი გვაქვს. ფოტოგრაფი კი აპარატს მართავს და გვტუქსავს:

— სიჩუმე, ვიღებ! გაიცინეთ, თავი მაღლა ასწიეთ!

„წკატ!" ერთხელ, მეორედ და — ისევ წამოვიშალენით.

ფოტოგრაფმა იქვე დაამზადა სურათები, ცოტა ხნის შემდეგ სათითაოდ ჩამოგვირიგა. ვერ გამოვედით კარგად; დაჭყანულები ვიყავით, კისრებიც მოღრეცილები გვქონდა.

— აბა რა არის, მაიმუნებსა ვგავართ, თანაც რა ბუნდია! — ვამბობდით ნაღვლიანად.

— ვაჰ, „მინუტნია", მაშ როგორ გინდათ! — თავს იმართლებდა ფოტოგრაფი. ჩვენ მაინც გადავუხადეთ ფული და წავიდა.

გახსოვს, რა უკმაყოფილო იყავი? სურათში ცალი სახელო ჩაშვებული გქონდა, ცალი — ნიდაყვამდე აკაპიწებული. ჰოდა, ჩხუბობდი, რად გადამიღო ეგრეო, ხელი გაყვლეფილივითა მაქვსო.

არც ჩვენ მოგვწონდა, ლამის გვეტირა. უფროსები, რაც შეეძლოთ, გვამშვიდებდნენ:

„მართალია, ვერ გამოხვედით ისე, როგორც საჭირო იყო, მაგრამ ეს სურათი სამახსოვროა და მაინც კარგიაო".

მეტი რა გზა გვქონდა, ჩვენც დავმშვიდდით.

ხედავ, შენმა სიზმარში ნახვამ რამდენი რამე ჰომაგონა? ვიცი, შენც ჭოლად ვერ დაივიწყებდი ჩვენი უბნის ამბებს, ალბათ ბევრი რამ გახსენდება ხოლმე, მაგრამ მარტო ეს მითხარი, ჩემო ძმაო, მაინც როგორ გაგიძლო გულმა, რომ აქამდე ერთხელაც არ ჩამოხვედი?

ვიქტორინა — კონკურსი

„გამარჯვება—40"

4

ბავშვებო! ვაქვეყნებთ „პიონერის" მე-5 ნომერში დაბეჭდილი „გამარჯვება-40" ვიქტორინა-კონკურსის მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 კითხვების შესაბამის ფოტოებს.

2. ფოტოსურათებზე აღბეჭდილია იმ სიმღერების ფრაგმენტი და პლაკატის რეპროდუქცია, რომლებიც ომის პირველ დღეებშივე იქცა მოწოდებად სამშობლოს დასაცავად თავგანწირული ბრძოლისაკენ. ვინ არიან ამ სიმღერის ავტორები და როდის შესრულდა იგი პირველად? ვინ არის პლაკატის ავტორი?

3. რა იცით ამ ფოტოსურათზე აღბეჭდილი ციხესიმაგრის შესახებ?

4. სამამულო ომის წლებში სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააწესა რამდენიმე ორდენი. ერთი მათგანის რეპროდუქცია მოცემულია აქვე. გვიამბეთ მასზე.

8. ფოტოზე აღბეჭდილია ცნობილი ქართველი მხედართმთავარი. რა იცით მის შესახებ?

2

Вставай, страна огромная,
Вставай на смертный бой
С фашистской силой темною,
С проклятою ордой!

Припев:

Пусть ярость благородная
Вскипает, как волна!
Идет война народная,
Священная война.

2



3

8

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი №6

რომ მეთ სანეტ ღიმილი ჰყვოლდეს

მანანა გელაშვილი

მსოფლიოს მილიონობით ბავშვი, უთუოდ მეტი გამომსახველობისა და ფერადოვნების მისაღწევად, ენის წვერით ასველებს ფანქარს და ისე ხატავს... ხატავს სახატავ რვეულში, საწერად განკუთვნილ რვეულში, წიგნში, ხელში მოხვედრილ ქაღალდის ნაგლეჯზე, ასფალტზე, ბინის ახლად გარემონტებულ კედლებზე, თეთრად მოქათქათე მაცივრის კარზე; ხატავს მზეს, ცას, დედას, ყვავილს, ცირკის მასხარას თუ ჯამბაზს, კოსმონავტს, ცისარტყელას, ზღაპრის გმირებს, პეპლებს, ხეებს, ბავშვები წითელქუდაჭამია რუხ მგელსაც ხატავენ, საშინელ ურჩხულსაც, ცხრათავა დევსაც, ბოროტ ჯადოქარსაც და ცეცხლისმფრქვეველ გველეშაპსაც. მაგრამ მათ შემეცნებაში ბოროტად დამკვიდრებული არსებებიც კი არ გამოუდით ბოლომდე ბოროტი ხომ კბილებსაც უზარმაზარს ხატავენ აშკარად ბოროტად ჩაფიქრებულ მგელს და კეფასაც ავად აჯაგრულს, მაინც ვერ არის ხოლმე ეს მგელი მთლად ბოროტი...

ალბათ იმიტომ, რომ ბავშვებს არ სჯერათ, არ უნდათ დაიჯერონ, რომ ქვეყნად ნამდვილად არსებობს ბოროტება.

მაგრამ რა უცბად ჩაქრება ხოლმე ბავშვის ნახატში ცისარტყელა, როგორ ელვის უსწრაფესად შავდება თვალწარბწამწამიანი მოღიმარი მზე, როგორ სწრაფად ქრება ბავშვის ნახატში უდარდელობა და ღიმილი, თუ მან აღმოაჩინა ბოროტების არსებობა, თუ იგი მის არსებობაში დააჯერეს...

ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში ნამყოფმა ბავშვებმა დაიჯერეს ბოროტების არსებობა...

„...გზაზე უცნაური კოლონა გამოჩნდა: დაახლოებით 150 ბავშვი ხელიხელჩაკიდებული მოდიოდა. მოზრდილებს უმცროსები აეყვანათ ხელში და ძლივს მოაბიჯებდნენ. მათ სამხედრო ნაბიჯით მოჰყვებოდნენ სს-ის ზედამხედველი ქალები. მათ შორის შორიდანვე გამოირჩეოდა ლამაზი ირმა გრეზი, რომელსაც გერმანული ნაგაზი მოსდევდა გვერდით. ჯგუფი სასეირნოდ თუ ექსკურსიაზე გამოსულ საბავშვო ბაღს გავდა. კრემატორიუმის წინ პატარა მოლზე შეჩერდნენ. ერთ-ერთმა ზედამხედველმა ხმამაღლა უბრძანა ბავშვებს: — ახლა თქვენ ყველანი ტანთ გაიხდით და კოხტად დააწყობთ თქვენ-თქვენ ტანსაცმელს, რომ მერე ადვილად მოძებნოთ, შემდეგ კი ჩვენ შხაპის მისაღებად წავალთ.

ბავშვები გახდას შეუდგნენ. მოულოდნელად ხუთი წლის გოგონას ხელიდან დიდი წითელი ბურთი გაუვარდა. დანარჩენები გამოეკიდნენ, დაიჭირეს და თამაში დაიწყეს. თამაშობდნენ სექტემბრის თბილ მზეში. ბავშვები პატარები იყვნენ. ყველაზე უფროსი ათიოდ წლის თუ იქნებოდა. მოლის პირას პატარა, ასე ორი წლის ბიჭუნა ჩამომჯდარიყო, ძალზე პატარა იყო და დანარჩენებთან ბურთს ვერ ითამაშებდა. ირმა გრეზმა ტაში შემოჰკრა, საბავშვო ბაღის აღმზრდელებმა რომ იციან ხოლმე, ისე: — აბა, ახლა კი კმარა თამაში, თავი დაანებეთ ბურთს და აბანოსკენ!

ბავშვები დაემორჩილნენ და კრემატორიუმის კიბეს აუყვნენ. ის პატარა ბიჭუნა ძლივს აფოფხდა საფეხურებზე. ამის დანახვაზე ზედამხედველმა თავისი ძაღლი სხვას გადასცა და ბავშვი ხელში აიყვანა. გაზის კა-

შენ გენაცვალოს ყოველი

მიყვარს კამკამა ცის ნამი,
დედ-მამა — ჩემი მშობელი,
და-ძმა, ნათესავ-მოკეთე,
მოძმე, სიკეთის მყოფელი,
მაგრამ, ძვირფასო მამულო,
შენ გენაცვალოს ყოველი!

თანამოძმეს

მე მისთვის მინდა სიცოცხლე,
მამულზე ტრფობით ვიწვოდე.
არ მიღალატო იცოდე,
ხელი ხელს გამომიწოდე!
შენ ჩემო ძმაო, ქართველო,
მამაცო, ჭკუანათელო,
მამულის საქმე ვაკეთოთ,
ვაცოცხლოთ და ვაჯანმრთელოთ,
დღე მასზე ზრუნვით ვაღამოთ
და მასზე ფიქრში ვათენოთ!

ნიკოლოზ ცაგურიშვილი,
თბილისის 129-ე საშუალო
სკოლა, IX კლასი.

სიცოცხლის დაბადება

— არსად დატოვოთ ზამთრის კვალი! ყველაფერს გაზაფხულის იერი დაატყვეთ! — უბრძანა მზემ შვილებს.

მორჩილად შეასრულეს სხივებმა მზის ბრძანება. ყველაფერი გაანათეს და გაათბეს. მიწასაც გაუთბა ზამთრის სუსხისაგან გაყინული გული და სისხლი სიხარულით აუჩქროლდა. ახმაურდა, აბუბუნდა მიწა. პაწაწინა ბლის ყლორტმა, რომელიც ის-ის იყო, მიწაში ჩაფლული კურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერისკენ მიმავალი კიბის საფეხურები მისი პატარა ფეხებისათვის აშკარად მაღალი იყო. ბავშვი ირმა გრეზეს ქერა თმებსა და ქუდის ბრჭყვიალა ნიშანს შეეთამაშა. ეტყობა, ამ სიმპათიური „მოწყალების დის“ ხელებზე თავს კარგად გრძნობდა და კმაყოფილი იცინოდა. მალე ირმა გრეზის ქუდიც მიეფარა თვალს და იმ პატარას თავიც.

ხელმეორედ ირმა გრეზი კრემატორიუმიდან გამოსული დავინახეთ.

ოც წუთში ვენტილატორები აღმუვლდნენ...

კრემატორიუმის წინ წყობისად ელაგა ბავშვების შარვლები, ბაფთიანი კაბები და... წითელი ბურთი...“

ბირკენაუს ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკის ერთ-ერთი ყოფილი ტყვის ამ მცირე მოგონებაში ჩაგუბებულია უდიდესი ტკივილი გაზის კამერებში დამწვარი, წამებით მოკლული იმ ათასობით ბავშვის სიცოცხლის გამო, რომლებმაც დაღუპვამდე ბოროტების შეცნება მოასწრეს, რომელთა გონებაში შავი გადაეფარა ყოველივე ნათელსა და სხივიანს...

საკონცენტრაციო ბანაკში გამომწყვდეული, თვალში შიშჩამდგარი ბავშვები სადღაც, ალბათ დედისა თუ დიდედის ხელით დაქარგული კაბა-ხალათის ჯიბეში წვერდაბლაგვებულ ფანქარს პოულობდნენ, უთუოდ მეტი გამომსახველობისა და ფერადოვნების მისაღწევად ენის წვერით ასველებდნენ მას და ხატავდნენ... ხატავდნენ, რასაც ხედავდნენ — ავტომატმომარჯვებულ ესესელებს და მათ ძაღლებს, კრემატორიუმის ავად მხრჩოლავ მილს, სამუშაოზე გამორეკილ ტყვეებს, ბარაკებს...

ბოროტებას ხატავდნენ ის ბავშვები.

და თუმცა ამ ნახატებშიც ბევრი რამ ბავშვურად გულუბრყვილო და უშუალოა, — ჩვეულებისამებრ გაჭირვებით მათ ავტორებს პროფილის გამოსახვა, ნახატზე გამოხატულ ადამიანებს ცალ ხელზე ცხრა თითი აქვთ და მეორეზე სულაც სამი, თავიც პირდაპირ მხრებზე ადგათ, მაგრამ მათში არ არის მთავარი, რაც უნდა იყოს ბავშვის ნახატში — უდარდელობა, ღიმილი, შუქი, — და არის ის, რაც არ უნდა იყოს მათში — შიში, შიში ბოროტების წინაშე.

ეს ნახატები ყოფილი საკონცენტრაციო ბანაკების მუზეუმებშია გამოფენილი დღესაც და ალბათ იმიტომ, რომ ჩვენ, უფროსებმა, ვიცით მათი არსებობა, ასე ვღიზიანდებით, როცა ვხედავთ, რომ ბავშვები ეკრანზე ნანახისა და წიგნში წაკითხულის შთაბეჭდილების ქვეშ ბრძოლის სცენებს, ალმოდებულ თვითმფრინავებსა და ტანკებს ხატავენ, და თუმც ისინი გაკვირვებულნი გვარწმუნებენ, რომ ეს „ჩვენი“ ტანკი კი არ იწვის, არამედ „იმათი“, რომ ეს „ჩვენმა“ ჩამოაგდო „იმათი“ თვითმფრინავი, ჩვენ მაინც წარბშეკრულნი ვურჩევთ მათ, ხატონ ლურჯი ცა და ცაში თეთრი ღრუბელი; მწვანედ მოხასხასე მიწა და მიწაზე ლაღი ხეები.

რამდენიმე წლის წინ, ბაკშვთა წლისადმი მიძღვნილ მწერალთა მეორე საერთაშორისო შეხვედრაზე, რომელიც სოფიაში გაიმართა, ჩვენმა სასიქადულო პოეტმა იოსებ ნონეშვილმა თქვა: „ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ სოფიელი თუ მოსკოველი, ნიუ-იორკელი თუ ბომბეელი და კაიროელი ბავშვები, მთელი მსოფლიოს ბავშვები, ბედნიერნი იყვნენ, რომ მათ სახეებზე ჰყვაოდეს ღიმილი, მათ ხელებში კი — ყვავილები“...

ბრძოლა, დაუღალავი და თავდაუზოგავი, აქტიური ბრძოლაა საჭირო ბავშვის ბაგეზე აყვავებული ღიმილის შესანარჩუნებლად, სხვანაირად ღიმილს აყვავება არ უწერია, ხოლო აყვავებულს დაჭკნობა ემუქრება. აკი შეაჭკნა იგი ბაგეზე მილიონობით დაობლებულ, ბოროტებანაგემებ ბავშვს მეორე მსოფლიო ომის დროს! აკი იგივე ემუქრება ათასობით ბავშვს დღესაც!

ბავშვის ღიმილისთვის, მის ნახატში ლურჯი ცისათვის ვიბრძვით ჩვენ...

კისაგან ამოიწვერა, იგრძნო დედის აჩქარებული გულისძგერა და თვითონაც ერთიანად ათრთოლდა. საოცრად მოუნდა მზის დანახვა... სხეული მიწაში ვეღარ დაატია, ძალა მოიკრიბა, ნიადაგს თავით მიაწვა და... უცებ დააბრმავა მზის სიკაშკაშემ. შემკრთალმა თავი დახარა, მაგრამ მზის შვილები შეეშველნენ და ისევ მაღლა ააწევინეს თავი.

მზისქვეშეთში ახალი სიცოცხლე დაიბადა.

ხათუნა გელაშვილი,
თბილისის 48-ე საშუალო სკოლა,
VII კლასი.

ჩვენ გავიმარჯვებთ! ზაალ მარუაშვილი, თერჯოლის I-ლი სკოლა, 8 წლის.

მიტოვებული სახლის ჩივილი

მორღვეული ბუხარი და
მორყეული რიკული...
სახლი უკვე აღარ მქვია,
მე ვარ სახლის ფიტული.
აწეწილი კარ-მიდამო,
ნაფეხური წაშლილი...
და ჭიშკარი, მოტირალი
მიტოვებულ ბავშვივით.
რა მძიმეა ეს ტიალი
ორთავ თვალის სიბრმავე,
ავი ზამთრის მოლოდინში
მარტოობის სიმწარე.

ტყვე

ერთ გალიაში ჩიტი ზის,
მოწყენილია სულ:
ცა ენატრება კრიალა,
განავარდება სურს.
ჩაუქროლებენ ფრთოსნები,
გაამხნევებენ დას,
ცის ამბებს უყვებიან და
თან არიდებენ თვალს.
გალიაში კი ჩიტუნას
ცხარე ცრემლები სდის.
შველა სჭირდება... ვის სთხოვოს?
ვის შეევედროს, ვის?

მაია ადეიშვილი,
თბილისის 71-ე საშუალო
სკოლა, VII კლასი.

მოულოდნელი შეხვედრა

(ვ. ლორთქიფანიძის მოთხრობა „ცაბუნიას“ გაგრძელება)

ცაბუნიას გული ეტკინა, როდესაც გაიგო, არჩილ მესხი სხვა ქალაქში გადაიყვანესო. „ნუთუ მომატყუა? — ფიქრობდა პატარა გოგო. — არა მგონია... მაშ, რა მოხდა?..“

გავიდა წლები... ომი დამთავრდა... ცაბუნიამ სკოლა დაამთავრა. კოლმეურნეობაში დარჩა სამუშაოდ და მალე მოწინავე მეჩაიეს სახელი მოიხვეჭა. ბევრი დრო გავიდა, მაგრამ იმედი, რომ მამა დაუბრუნდებოდა, მაინც არ დაუკარგავს.

...ფილარმონიის დიდ დარბაზში რესპუბლიკის მოწინავე ადამიანებს მოეყარათ თავი. ქალიშვილი გულდასმით უსმენდა ორატორებს. და აი, ცაბუნიას ყურს ნაცნობი ხმა მოესმა, ტრიბუნაზე მდგარი გაჭალარავებული კაცის სახეც თითქოს ვიღაცას აგონებდა. ტანში ჟრუანტელმა დაუარა. უთუოდ ის არის...

შესვენებისას გულის კანკალით მივიდა იმ კაცთან. არ მოუტყუებია გუმანს: მის წინ მართლაც არჩილ მესხი იდგა.

გამოეცნაურა.

— მაპატიე, ცაბუნია, მაპატიე, ჩემო გოგონი! — თვალებში ცრემლი ჩაუდგა არჩილს.

— პირიქით, თქვენ უნდა მაპატიოთ, — შეესიტყვა ცაბუნია, — ტყუილის თქმა ხომ სინამდვილეში მე გაიძულეთ... — ცრემლად დაგუბებული ნაღველი ჯერ ქუთუთოებს მოაწვა და მერე ღაწვებზე ჩამოუგორდა ცაბუნიას.

— არა, შვილო, ყველაფერში ომია დამნაშავე, — ხელი მოხვია არჩილმა ქალიშვილს. — მაგრამ შენ ნუ იდარდებ, გწამდეს, რომ მამაშენი ცოცხალია, იგი შენში, ჩემში, მის მეგობრებში ცოცხლობს...

ცაბუნია მიეხედო არჩილ ბიძიას მხარს. კვლავ თვალწინ დაუდგა, როგორ ააფეთქა მამამისმა ტანკი, როგორ გადაარჩინა დაჭრილი მეგობარი...

თამარ კინწურაშვილი,
წყალტუბოს 1-ლი საშუალო
სკოლა, VII კლასი.

მახსოვს

მახსოვს, ვმღეროდი შენზე;
მახსოვს, ბულბულებს ვზრდიდი;
მახსოვს, ოცნების ფერზე
მე გამოცანებს ვხსნიდი;
მახსოვს, ვტიროდი ადრე,
ცრემლებს მიშრობდა ქარი;
მახსოვს, დაბინდულ ფარდებს
სიო არხევდა კრძალვით;
მახსოვს, მთრთოლვარე სტრიქონს
გული არჩევდა ფრთხილად.
ღამე ლამაზი იყო,
უფრო ლამაზი — დილა.

ერთ-ერთი ვარ

ყვავილებზე,
ლურჯ ველებზე ვმღერივარ,
ცის ლაჟვარდში
აფრენილი მტრედი ვარ,
ქართველი ვარ
და მით ბედნიერი ვარ,
ერთ-ერთი ვარ,
განა ერთადერთი ვარ!

ქეთინო მინაძე,
წულუკიძის 1-ლი საშუალო
სკოლა, V კლასი.

ირმის ჯოგი. სანდრო დალაქიშვილი, 12 წლის, თბილისის 28-ე საშუალო სკოლა.

საიდან მოდის გაზაფხული?

იცით, საიდან მოდის გაზაფხული? ან ვის მოჰყავს იგი ჩვენთან?

აი, იმ პატარა ატმის კვირტებს, რომლებიც ხის ტოტებზე იბადებიან, იფურჩქნებიან და უცებ მათგან თეთრი თუ ვარდისფერი ფაფუკი ყვავილები იფეთქებს. აი, მათ მოჰყავთ გაზაფხული.

იცით, სად ჰყავდათ გადამალული იგი?

მკერდში, დიახ, მკერდში! სათუთად უფრთხილდებოდნენ მას, რათა ცხრა თვის შემდეგ ისევ უმანკო და სპეტაკი დაებრუნებინათ ჩვენთვის.

იცით, რისთვის გააკეთეს ეს პაწაწინა კვირტებმა?

იმისათვის, რომ სილამაზე და სიკეკლუცე შეენარჩუნებინათ დედამიწისათვის, ისევ ეგალობათ ჩიტებს, ისევ დამკვიდრებულიყო სიცოცხლე ზამთრის ძალით გათანგულ სამყაროში...

დიახ, ამისთვის მალავდნენ კვირტები მკერდში გაზაფხულს, ჩემთვის, თქვენთვის, ყველა ჩვენგანისთვის ულოლიავებდნენ და უნანავებდნენ მას.

თამრიკო შარაშიძე,
მახარაძე, ცხემლისხიდის საშუალო სკოლა, VIII კლასი.

მამა. მეგობრული შარჟი.
გია ცინცაძე, 9 წლის.
რუსთავის მე-2 საშუალო სკოლა.

დედას

ფიქრშიც გეფერები,
სულ შენთან ვარ, დედა,
ჩემო საოცნებო
გულის ლაღო ფეთქვავ.
ჩვენზე ზრუნვას, ამაგს,
შეალიე წლები,
დაგეღარა სახე,
გაგითეთრდა თმები.
დღეს დღე მისდევს მიჯრით,
ჟამი მიდის ნელა,
უფრო ტკბილი ხდები,
საყვარელო დედა.

მაია მუკავია-ფიფია,
წალენჯიხის რაიონის ლიის საშუალო სკოლა, X კლასი.

მზეო, მზეო, ცხრათვალავ

მზეო, მზეო ცხრათვალავ,
სხივი ამოაბრწყინე,
გაუღიმე სამყაროს,
ამღერე და ალხინე.
გაათენე წყვდიადი,
გააცოცხლე ქვეყანა,
სტყორცნე ოქროს სხივები
ლამაზ ზვარს და ნორჩ ყანას.

ჩემი მხარე

წყნარად დუდუნებს ტეხურა,
მოძახილს აძლევს წაჩხურა,
მოდიან ასე ერთად და
მოიმღერიან ქართულად.
აგერ მოცეკვავს კალმახი
ისიც თამაშში ჩართულა,
გაღმა-გამოღმა ნაპირი
იებით გადაქარგულა,
ეს ჩემი კოხტა მიდამო
რა ტურფად შემოხატულა!

ნანა თოდუა,
გეგეჭკორი, ტალერის საშუალო სკოლა.

ნატურმორტი
გიორგი მგალობლიშვილი,
თბილისის 87-ე საშუალო სკოლა, I-ლი კლასი.

ნატურმორტი. გიორგი ნანავა, 18 წლის.

გაზაფხული

როცა იღვიძებენ მთები
და მწვანედ ირთვება ტყე,
როს თვალხატულა ყვავილნი
გაუცინებენ მზეს,
მოფრინდებიან მერცხლები,
ლაღად გაშლიან ფრთებს,
ეს გაზაფხული არის —
ყველას სიხარულს გვფენს.

თამილა ჟურხაშვილი,
სიღნაღის რაიონი, ქვემო მაჩხაანის საშუალო სკოლა, VII კლასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვარტან დარჩენილი ფერო. ინგა ჯანია, VII კლასი. წალენჯიხა (ულუფლები)

მზე შემოდგომისა

მზე შემოდგომისა ყვითლად იფერება
და ხეთა ქარვაში დადნა სიმღერებად.
მზე შემოდგომისა წვიმებად იღვრება,
წარსულზე დარდით და წუხილით იღლება.
მზე შემოდგომისა ძნებად იკონება,
თავთავთ ეს კონები ოქროდ იწოდება.
მზე შემოდგომისა სიყვარულს გვპირდება,
აელვარებული თვალებში ბრწყინდება.
მზე შემოდგომისა მოსავლად აიღეს,
ყურძნის მტევნებივით მარანში წაიღეს.
მზე შემოდგომისა ღვინოდ იწურება
და შემაშფოთებლად სულში იყურება.
მზე შემოდგომისა წვიმებმა გალიეს,
კაცებმა ღვინისებრ თასებით დალიეს.
ღვინო მათრობელა მთელ სხეულს ედება,
მზე შემოდგომისა წაიღეს მტრედებმა...

გამოთხოვება

ატმის ყვავილი მთვარიან ღამეს
ემშვიდობება რტოს მოქანავეს.
აფეთქებულა, როგორც ცისკარი,
ირგვლივ კი ისევ მარტის ქრის ქარი.
ხეებს ვარდისფრად ასდით სურნელი
და ეთხოვება ტოტებს სულელი.
სჯერა, ახდება მისი სიზმარი
და ცაში ცეკვას ასწავლის ქარი.
გულით ატარებს ვარდისფერ სევდას, —
ემშვიდობება ყვავილი დედას.
აელვებულა, როგორც ცისკარი,
სადმე, შორს, მისი ჩამოჰკრავს ზარი...

აპრილი

ჩემი სარკმლიდან იმზირება ნაზად აპრილი...
კვირტების ფოთლად გადაქცევამ, ფერთა სილურჯემ,
ვარდთა კოკრების აფეთქებამ, წყალთა სიუხვემ
და სულში სევდის აალებამ მამცნო აპრილი.
ცისფერ ღრუბელთა უდრტვინველმა ცრემლად დადენამ,
აქა-იქ წვიმის ნაზად სხლტომამ მწვანე შტოებზე,
თოვლის ნაკადთა გაქანებამ ციცაბოებზე,
ნაზმა, საამო, გრილმა სიომ მამცნო აპრილი.
ცისფერი სევდის აკვამლებამ, ცაში მზედ დენამ,
შუაღამისას მოხშირებულ ვარსკვლავთა ცვენამ,
აფრთხიალებულ ჩიტუნების ჭიკჭიკა ენამ
და სიყვარულის მოზღვავებამ მამცნო აპრილი.

ანა ლოთიკაშვილი,
დუშეთის მე-2 საშუალო
სკოლა, VIII კლასი.

ცაც ზღაპრული ხდება

ვაზებს ცრემლი წვეთ-წვეთობით სცვივათ,
რა ატირებთ, იქნებ გული სტკივათ?
მაგრამ რა დროს ტირილია ახლა,
ეს ცრემლები დიდ სიხარულს ახლავს.
მარტის დღეებს გულს გაუხსნის კვირტი,
ქარიან დღეს საიდუმლოდ იტყვის —
რით გვამაღლებს გაზაფხული ასე,
რას დაეძებს გული, ნატვრით სავსე.
წვეთ-წვეთობით ცრემლი სცვივათ ვაზებს,
სულის ტაძარს მზე კვლავ გვილამაზებს,
წვეთ-წვეთობით გულს აღელვებს სისხლი,
მეც კვირტივით გულის გახსნა მიხსნის.
შუკა-შუკა ქროლვით გამომდგარი,
ტყემლის ყვავილთ მოგვაფერებს ქარი,
წვეთ-წვეთობით ვაზებს ცრემლი სწყდება,
გაზაფხულზე ცაც ზღაპრული ხდება.

ლალი უაველაშვილი,
ჭიათურის რაიონი, ზედუბნის
საშუალო სკოლა, X კლასი.

ოცნება

რა არის ოცნება? ამ კითხვაზე სხვამ იქნებ სხვა პასუხი გასცეს, მე კი ვიტყოდი: ოცნება — ესაა ყველაზე მშვენიერი და მკაცრი რამ. ალბათ იკითხავთ, რატომ არის ოცნება მკაცრი, თუ ის ყველაზე მშვენიერიაო? იცით, რატომ? ოცნებას ისე შორს მივყვებით, რომ, როცა სინამდვილეს ვუბრუნდებით, რაღაც ენით გამოუთქმელი სინანული გვეუფლება.

— რა ფერისაა ოცნება? ოცნება ცისფერია, ბალახისფერია, მზისფერია, ცრემლისფერია, საერთოდ კი, ოცნება ოცნებისფერია.

აქვს ოცნებას სამანი? არა, ოცნება უსასრულოა. ოცნებაში მთელ სამყაროს მოვივლი ხოლმე, ხან ვისთან ვსაუბრობ და ხან ვისთან. ძალიან მიყვარს თეთნულდი და მასთან მუსაიფი. მიყვარს ჩემი ოცნების ქალაქში ოცნების კოშკთა შენება. მათ შორის გაშორჩეულად მაღალი და ლამაზია მშობლიური მიწა-წყლის სიყვარულზე აგებული კოშკი. ამ კოშკში რომ „ვზივარ", ვოცნებობ, ისეთი გავიზარდო, ჩემი სიცოცხლე მარტო ახლობლებს კი არა, ყველას, ყველას სჭირდებოდეს. ბუნების ძალავ, ამიხდინე ეს ოცნება!

ლალი მარგიანი,
მეხტიის 1-ლი საშუალო
სკოლა, IX კლასი.

მოვიარე საქართველო

მოვიარე საქართველო,
გელათი და მცხეთა,
გადავსერე ზღვა და ველი,
მტრედისფერი ზეცა.
მოვიარე თვითმფრინავით,
ხომალდით თუ ფეხით,
გავიცანი მეტალურგი,
პოეტი თუ გლეხი.
უფრო ძლიერ შემიყვარდა
ჩემი საქართველო,
კარგი სწავლით, კარგი შრომით
უნდა ვასახელო.

ირაკლი ჩხაიძე,
ბათუმის 28-ე საშუალო
სკოლა, VII კლასი.

წვიმს...

დღეს კარგი, სასიამოვნო წვიმა მოდის... გრძელი ზამთრის დამზრალ დედამიწას და მცენარეებს ათბობს, აცოცხლებს... თითქოს ყველაფერი იღვიძებს, პირს იბანს. მიჩუმებულ ადგილებს წვიმის შხაპუნი ახმაურებს...

აგერ ჩიტებიც გამოჩნდნენ, ფრთებზე გაზაფხული შეუსვამთ, როგორც გამარჯვებული მეფე...

წვიმს, წვიმს...

მე და ღამე

ჩაესვენება მზე მთის კალთებში. ჩამოწვება ბინდი. მობრძანდება შავ ტანისამოსში გამოწყობილი ღამე. ავდგები და გავალ აივანზე. მივუჯდები ღამეს გვერდით და ჩავებმები საუბარში. ტკბილია გრილ ღამესთან საუბარი.

ლექსო გატიაშვილი,
თბილისის უშინსკის სახელობის 1-ლი
ექსპერიმენტული სკოლა, V კლასი.

მოვიდა თოვლი

მოვიდა თოვლი,
შეიმოსა თეთრად მთა-ბარი,
წამოახურა ტყეს და სახლებს
თეთრი საფარი.
გადაიპენტა კიდით კიდე
ვრცელი ველები,
აღარ ქანაობს მდინარეში
ცისარტყელები.

აღარ ყვავიან ლურჯთვალება
ნაზი იები,
არ გვეფინება ჩახჩახა მზის
ოქროს სხივები.
მოვა დრო, როცა
სანუკვარი ნატვრა ახდება —
პირმშვენიერი გაზაფხული
ისევ დადგება.

იზოლდა ბახაძე,
ქობულეთი, ხუცუბნის საშუალო
სკოლა, VII კლასი.



კაპიტალის სამყაროში, გიორგი ნანავა, 18 წლის.

ლიანა ყუბუჩავა
მხატვარი ზაურ დეისაძე

წვიმამ გალესილა ქალაქზე

მოთხრობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაბერუსდა, ჩამუქდა, დაპატარავდა ყველი. ქუჩების ხმაური წვიმის გუგუნში ჩაიძირა.

ზამთრის ეჭვებისაგან განწმენდის ჟამს დაემსგავსა ბუნების უეცარი აბობოქრება. ჯარასავით დატრიალდნენ წვეთები და მზით აფუებულ ჰაერს ჟინით შემოესივნენ ქარი და წვიმა.

მერე ერთბაშად გადაიკარა და ახალი ხიბლით ამოძრავდნენ, ახმიანდნენ ოხშივარაფენილი, ტანდაბანილი ქუჩები. სინჯლის, სიმწვანის თბილი ჟრუანტელი უვლით ხეებს, იასამნის ბუჩქებს, ბოგოებს.

60-იანი წლების „დადიანზე“ მოაბიჯებს ადრიანი გაზაფხული გაფშეკილი კიკინებით, უდარდელი ღიმილით, შეუცნობელი სიხარულით შეძრული.

თბილი წვეთები წკაპა-წკუპით მოწვეთავენ საფეთქლებისკენ მერცხლის კუდივით გაქცეული „ჩოლკიდან“, გრძელი წამწამებიდან, კიკინებიდან, ალერსით უსველებენ სახეს, ხელებს, ქალიშვილურად მოღერილ ბავშვურ ყელს.

ვიღაც წოწოლა ორბორბლიანი ველოსიპედით ცხვირწინ ჩაუქროლებს, მერე შემცბარს უცბად მოუტრიალდება:

— შენა?! და ისე ათვალიერებს, თითქოს პირველად ხედავდეს...

წამით რაღაც ნათელი ჩადგება მათ შორის, მერე გოგონა თავს იქნევს წვიმის წვეთების, უხერხულობის, შეუცნობელის ჩამოსაფერთხად და — მშვიდად:

— ქართულმა რა მოგვცა?

— ეხლავე!

და უეცრად უსიტყვოდ თავისი ეზოსკენ მიატრიალებს ველოსიპედს, აჩქარებით მიდის (დღიურში უნდა ნახოს — „გაკვეთილი“!)

კიკინებიანი გაზაფხული სანოტო ჩანთის რხევის ამპლიტუდას ზრდის მხოლოდ, სხვა ვერაფერზე შეატყობთ, რომ ღელავს, და რატომღაც ბრაზდება: სულელი, დღიურში თუ არ ნახა!

ბიჭს კარგა ხნით აგვიანდება — ჯერ დღიურს ვერ პოულობს, მერე — ქართულის გრაფას, ბოლოს — კითხვის პასუხს: მარტო ქართული უნდა თუ სხვა საგნებიც?

მერე ისევ მოულოდნელად წამოადგება თავს მაღალ ველოსიპედზე სამად მოხრილი და მაინც აწოწილი:

— „გაზაფხული ჩვენს ქალაქში“, თავისუფალი თემა...

წარბშეკრული, მოკლე შეკითხვა:

— ალგებრამ?

...60-იანი წლების გაზაფხული უზურპატორივით დააბიჯებს „დადიანზე“ მარათონი გრძელდება —

ქუჩიდან ეზოში,

ეზოდან — მეხუთე სართულამდე,

მერე — დღიურში ძებნა, ჩამოშვებული ფარდიდან ჩუმად, ალმაცერად გახედვა და ალოგიკური ბრაზი:

— მოიცადოს, ძალიანაც კარგი!

მერე — უხერხულობა, რომ მერხის მეზობელს ალოდინებს და — კისრისტეხით დაშვება კიბეებზე...

— მაგალითი №№, ამოცანა №№ და განვლილი მასალის გამეორება.

— ისტორიამ?

ისევ დაიძრა ველოსიპედი.

ისევ აიმარცვლა მაღალი კიბე.

კვლავ მოუთმენლად ავლებს თვალს კიკინებიანი მაღაზიის კრიალა ვიტრინაში საკუთარ გალუმპულ სილუეტს.

ნიავის ყოველ შემობერვაზე წკაპაწკუპით ცვივიან წვეთები ახლადამწვანებულ ხეთა ფოთლებიდან. გოგონას ეჩვენება, რომ გამვლელებს ეღიმებათ და ნაბიჯსაც დგამს წასასვლელად, რომ ისევ აისვეტება წოწოლა ბიჭი დაზვერვიდან დაბრუნებული პარტიზანივით, ისევ იღებს ახალ „დავალებას“...

რაღაცნაირ ჯიუტ შეჯიბრებას ემსგავსება ეს უჩვეულო კითხვა-პასუხი. მეექვსედ და ბოლოჯერ უფრო დიდხანს დააგვიანდა ბიჭს, უფრო გაბრაზდა გოგონა. მერე:

— ხვალ ხომ მოხვალ სკოლაში?

— არა-ა! ხვალ გამოცდა მაქვს მუსიკაში და იმდენი სამეცადინო!

პაუზა.

— გინდა ხვალის გაკვეთილებიც ამოგიტანო? — ბიჭი ველოსიპედის ბორბლებს მისჩერებოდა, თითქოს იმათ ეკითხებოდა.

გოგო უკვე ქუჩის კუთხეში მიტრიალებს სანოტო ჩანთას და უკან აღარც იხედება, „არც ესმის“ ბიჭის ხმა. მარტო ზურგთან და ქალიშვილურად მოღერილ ჯერ კიდევ ბავშვურ ყელთან დასთბა უჩვეულოდ რატომღაც და ჟრუანტელმაც დაუარა ქუჩას, ხეებს, იასამნის ბუჩქებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხიჯლი სამუოჯლოს ეუვენეგისა

არნოლდ
გეგეჭკორი

მეოცე საუკუნის სამოცდაათიანოთხმოციან წლებს მასობრივი ტურიზმის წლებს უწოდებენ. ადამიანები სულ უფრო ხშირად ამბობენ უარს კომფორტზე, ოღონდაც მოწყდნენ ქალაქების ყოველდღიურ ცხოვრებას. ეჭვს გარეშეა, ბუნებასთან ურთიერთობა დასვენების საუკეთესო ფორმაა. იგი გვეხმარება დაკარგული ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალების აღდგენაში. მაგრამ საინტერესოა, კიდევ რით აიხსნება ადამიანის ეს ლტოლვა ბუნებისკენ. იქნებ, ეს ელემენტარული მოთხოვნილებაა გარკვეული შთაბეჭდილების მიღების, გარკვეული თავგადასავლის განცდისა? ვინ იცის, იქნებ პირვანდელ გარემოსადმი ამ სწრაფვაში უფრო ღრმა საფუძვლებია? სახელდობრ, ცივილიზებულ სამყაროში თვითშენარჩუნების დაკარგული ინსტინქტების გაღვიძება, ანდა იქნებ ყველაფერი ეს სხვა არაფერია, თუ არა წყურვილი მშვენიერებისა, თანდაყოლილი მოთხოვნილება ესთეტიკური განცდებისა.

უხსოვარი დროიდან, დამწერლობის შექმნამდე გაცილებით ადრე, ადამიანი უკვე ქმნიდა ხელოვნების ნიმუშებს და მათი მეშვეობით ხატავდა თავის ეპოქას.

დღემდე შემორჩენილია აუარებელი რამ ხელოვნებაში შექმნილი კოლოსალური მემკვიდრეობიდან. უმრავლეს შემთხვევაში, სწორედ ბუნების ქმნილებები ყოფნენ ადამიანთა შემოქმედების შთამაგონებელი ნიმუშები. გავიხსენოთ სამხრეთ საქართველოში ნაპოვნი დიდებული პეტროგლიფები — არქაული ადამიანის დროინდელ ცხოველთა სტილიზებული გამოსახულებებით. გავიხსენოთ საფრანგეთისა და ესპანეთის მღვიმეების კედლებზე შესრულებული, ამჟამად გადაშენებულ ცხოველთა სურათები, აქვე ნაპოვნი ცხოველთა სკულპტურული გამოსახულებები. მათ, როგორც კაცობრიობის ისტორიაში შექმნილ ხელოვნების უძველეს ქმნილებებს, ძალიან დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვთ.

ბუნება! ვინ არის შემოქმედი ამ ზღვა სილამაზისა, ამ ტყეებისა და ველების, მთებისა და ჭიუხების, ამ იშვიათი ბუნებრივი მუზეუმებისა? ვისი ყალმითაა მოხატული, ვისი საჭრისითაა გამოკვეთილი მათში არსებული ფორმები? კომპოზიციები?... ვინაა ავტორი? იქნებ ყველაფრის მძლეველი დრო? ანდა იქნებ სტიქიონი — ცეცხლი და წყალი, მზე და ყინვა, ქარი და წვიმა? დიახ, სწორედ ეს ძალებია შემომქმედი, ავტორი ბუნების ხელთუქმნელი ძეგლებისა.

მაგრამ რა მართავს ბუნების შემოქმედებით ძალებს? ნუთუ მხოლოდ შემთხვევითობა? ეს კითხვები ყოველთვის აღელვებდა და აინტერესებდა და მომავალშიც დაინტერესებს კაცობრიობას.

ბუნება ადამიანის შემოქმედების უშრეტი წყაროა. მისი მოტივები შეიძლება ვნახოთ ხელოვნების ნებისმიერ დარგში, ყოველი დროის ყველა სტილისა და მიმდინარეობის შემოქმედებაში, რადგან იგი ადამიანის მხატვრული აზროვნების ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალაა.

ირგვლივ, სადამდიც თვალი მიუწვდება, სადაც კი მთებია და ტყეები, მინდვრები და ცისფერი ტბები, თუ ზღვებისა და მდინარეების სანაპიროები და გინდაც ადამიანის ხელით გაშენებული ბაღები და პარკები, ერთი სიტყვით, ყველგან, სადაც კი ბუნებისათვის ოდნავ მაინც მიგვიცია თავისუფლება, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვაწყდებით იშვიათ სიმშვენიერეს. ეს შეიძლება იყოს ტყის პირას განმარტოებით მდგომი ხე, ქარებთან და ქარიშხლებთან ხანგრძლივი ბრძოლებით უცნაურად დაგრეხილი ტოტებით, შეიძლება იყოს სიბერისაგან ქერქდაბზარული საუკუნოვანი ნაძვები და სოჭებიც; ამ ქერქზე მყუდრო ბინადადებული, განუმეორებელი ფერებით მოღაღანე ხავსიც, ანდა უნაზესი და უნატიფესი პირველყვავილი, უტიფრად რომ ამოუყვია თავი თოვლის ჯერ კიდევ მყარი საფარიდან; ხან ეს შეიძლება იყოს ცის სილურჯეში დაკარგული ტოროლას გალობა...

ყველა ადამიანისათვის პატარაობიდანვე განასახიერებს სილამაზეს ყვავილი და პეპელა. მაგრამ ვიცით კი, რა სასიცოცხლო კავშირი არსებობს ამ ორ განსხვავებულ სიცოცხლეს მორის? ყვავილები ხომ დედამიწაზე უმთავრესად პეპლებისა და სხვა მწერების წყალობით არსებობენ? მწერებს რომ ყვავილების მტვერი ერთი მცენარიდან მეორეზე არ გადაჰქონდეთ, ისინი ვერ გამრავლდებოდნენ, რა ფერებსა და სურნელებას არ ხარჯავს ამისათვის მცენარეთა სამყარო!

ბუნების ყველა ფენომენი: სილამაზე, საოცრებანი და, რა თქმა უნდა, თვით სიბრძნეც ხშირად ერთი არსებითი მამოძრავებელი ძა-

ლით განისაზღვრება. ეს არის ორგანული სიცოცხლის მარადიული ლტოლვა გარკვეული მიზნის მისაღწევად. ეს მიზანია: სიცოცხლის შენარჩუნება, გამრავლება, უფრო მეტი სრულყოფის მიღწევა. სიცოცხლის ეს მიზანდასახულობა, რომელმაც გამოიწვია ევოლუცია ამებიდან თვით ადამიანამდე, ჭეშმარიტად უდიდესი საოცრებაა.

ბუნების ამ მამოძრავებელი ძალებით ატყორცნილა ცაში გიგანტური წიფლები, გოლიათურად დატოტვილი მუხა, ქანდაკებასავით გამოძერწილან ირემი და ჯეირანი, ამავე ძალების წყალობაა გეპარდის ნახტომი, შევარდნის კამარა... და ბუნების ხელთქმნილობის გვირგვინიც — ადამიანი.

ბუნების ესთეტიკური შემეცნება ორგანულად უკავშირდება მის პატრიოტულ შემეცნებას. პატრიოტიზმი კი ადამიანის სულის სილამაზის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოხატულებაა. ადამიანის ყველაზე ამაღლებული, უწინარესად სულიერი ღირსებანი, უდიდესი აღმაფრენის ნაყოფია. ამ უკანასკნელს კი კვებავს ბუნების ესთეტიკური შემეცნებისა და მამულისადმი სიყვარულის — პატრიოტიზმის ერთიანი გრძნობა. რაც უფრო მშვენიერია ადამიანის მამული, მით უფრო განვითარებულია ამ ადამიანში ესთეტიზმი, მით უფრო ღრმად აქვს გულში გადგმული ფესვი მშობლიური მთა-ბარის სიყვარულს — პატრიოტიზმის გრძნობას. სწორედ ეს არის ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი ურიცხვი მტრების გარემოცვაში მოქცეული ერთი მუჭა ქართველი ხალხის ფიზიკური გადარჩენის, და არა მარტო არსებობის შენარჩუნებისა, არამედ მასში ესთეტიკურობის, ეთიკურობის, ჰუმანურობის, ინტერნაციონალურობის და სხვა კეთილშობილური თვისებების გამომუშავებისა. ამიტომაც არის ქართველი კაცისათვის წმიდათა წმიდა მშობლიური ბუნება, სამშობლოს სივრცე, ჰაერი, ცა, ამანაც განაპირობა ის, რომ ქართველთა უდიდესი უმრავლესობა თავის მიწა-წყალს არის მიჯაჭვული.

სამშობლო მიწის ის ნაგლეჯი როდია მარტო, სადაც ადამიანმა ამ უკიდეგანო დედამიწაზე თავისი პირველი ნაბიჯები გადადგა. მაგრამ ეს ხელს არ გვიშლის უდიდესი სასოებით ვატაროთ გულში მოწიწება და სიყვარული პლანეტის სწორედ იმ პაწაწინა კუთხისადმი, საიდანაც დაიწყო დიდ სამყაროში ჩვენი ცხოვრება. მიწის ეს ნაგლეჯი ცოცხლობს არა მარტო ჩვენს მოგონებებსა და შთაბეჭდილებებში, მას თავისი მყუდრო ბინა აქვს დამკვიდრებული ჩვენი სულის ყველაზე ღრმა სამალავებში, შორსა ვართ მშობლიური კუთხისგან თუ ახლოს, იგი მუდამ ჩვენთან არის.

ადამიანისათვის მშობლიური კუთხის პეიზაჟი გულთან გაცილებით უფრო ახლოს დგას, ვიდრე სხვა, თუნდაც ეს სხვა ესთეტიკის თვალსაზრისით მის მიწა-წყალს აღემატებოდეს. ჩუქჩისა და ნენისათვის სუბარქტიკის მკაცრი ბუნებაა შეუცვლელი, ყირგიზისა და ყაზახისათვის — უდაბნოს თაკარა სივრცეები.... მშობელი კუთხე ძვიოფასი და განუმეორებელია არა მარტო ესთეტიკური თავისებურებების გამო. ეს ის გარემოა, სადაც ცხოვრობენ და იღვწიან ჩვენთვის მახლობელი ადამიანები. მაშასადამე, აქ დიდ როლს თამაშობს ჩვენი ნათესაური, მშობლიური გრძნობებიც.

მშვენიერების ჭვრეტის, მისი აღქმის უნარი მიეკუთვნება კაცობრიობის კულტურის უმნიშვნელოვანეს მიღწევათა რიცხვს, იგი გრძნობიერების ყველაზე ფაქიზი გამოვლენაა. მშვენიერების დანახვის უნარი ხელეწიფებათ უწინარესად იმათ, ვისაც უსაზღვროდ უყვარს თავისი მამული, მისი ხალხი, შესისხლხორცებული აქვს თავისი ერის ისტორია და კულტურა.

გარდა ესთეტიკური ტკბობისა და პატრიოტიზმისა, არის კიდევ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც ლამაზი მამულის ღირსებას ერთი-ორად ზრდის. ეს მისი გამოყენებითი მხარეა. აქ ლაპარაკია იმ ძვირფას შეხამებაზე, როდესაც ლამაზი მამული ერთდროულად იქ დასახლებულ ხალხთა საიმედო საარსებო წყაროცაა. ეს ცალკე მსჯელობის თემაა. ოღონდ ორიოდე სიტყვით ვიტყვით, რომ ესთეტიკის სიმაყრეში დღემდე გაუთავებელი დავა მიმდინარეობს მშვენიერისა და სასარგებლოს შეხამების თაობაზე. ამ დავას თვით პრაქტიკამ, ცხოვრებამ გასცა პასუხი. არქიტექტურა და გამოყენებითი ხელოვნება — აი ის სფეროები, სადაც მშვენიერი ორგანულად ერწყმის სასარგებლოს.

როგორ დგას ეს საკითხი ბუნებასთან დაკავშირებით? გემ „ბიგლით“ მსოფლიოს ირგვლივ მოგზაურობისას ახალგაზრდა ჩარლზ დარვინი გარკვეული ხნით შეჩერდა კუნძულ ტაიტიზე. ბუნებისმეტყველის ყურადღება მიიპყრო პურის ხის ხეივნებმა, მათ სილამაზეზე ლაპარაკიც კი ზედმეტია — მაგრამ გარდა მიმზიდველობისა, თითოეული მათგანი, მსგავსად საფუნთუშესი, აბორიგენებს მზა პურით ამარაგებს. განა შეიძლება ასეთი ფაქტის უგულებელყოფა? ევოლუციის თეორიის მომავალმა მესაძირკვლემ დღიურში შემდეგი ლაკონური ჩანაწერი გააკეთა: „რაოდენ დიდია იმ საგნის მნიშვნელობა, რომლის ჭვრეტითაც ჩვენ ესოდენ დიდ სიამოვნებას განვიცდით, მაგრამ როდესაც ამ მშვენიერ ტყეებს შესცქერი, უნებლიედ გეუფლება ფიქრი მათს უჩვეულო ნაყოფიერებაზე. ეს კი გაათკეცებულ ღირებულებას ჰმატებს აქაურ ბუნებას“.

დარვინის ეს სიტყვები მშვენიერების და მისი გამოყენებითი მხარის შენივთების შესახებ ჭეშმარიტად კლასიკურია.

იგივე ითქმის ადამიანზეც: „ჯანმრთელ ადამიანში ჯანმრთელი სული სუფევს“, — ძველ ელინთა ამ ცნობილ დევიზს არასოდეს გაუვა ყავლი.

საქართველოში არა ერთ გამოჩენილ ადამიანს უმოგზაურია. ჩვენი მთა-ბარის იშვიათი სილამაზე გამხდარა ბევრი მათგანის შემოქმედების თავფურცელი.

საინტერესოა მაინც რატომ?

დედამიწაზე გვხვდება ისეთი ადგილები, სადაც, თითქოსდა ადამიანების განსაცვიფრებლად, კონდენსირებულია იშვიათი სილამაზენი: ერთ-ერთი მათგანია სწორედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო, პოეტის მიერ „ცა—ფირუზ, ხმელეთ—ზურმუხტად“, მხატვრის მიერ „ხელთუქმნელი სურათების გალერეად“ წოდებული.

სად ნახავთ ერთ მუჭა მიწაზე ჩვენი პლანეტის უდიდესი ნაწილისთვის დამახასიათებელ ბუნებრივ პირობებს, და კანონზომიერებებს? აქ, გარდა ეკვატორულისა და ტროპიკულისა, მინიატურაში წარმოდგენილია დედამიწის ყველა ზონა. და ბუნების რამდენი საოცრებაა გაფანტული თითოეულ მათგანში?

ქართველი ხალხის შემოქმედებითი გენიის რამდენი ისტორიულ-არქიტექტორული, ეთნოგრაფიული და სხვა ძეგლი და თავისებურებაა შესისხლხორცებული თითოეულ კუთხესთან?

განა შეიძლება ვინმეს უყურადღებოდ დარჩეს ამ მამულის ბარაქა? და მართლაც, ყველა დამაშვრალის დამარწყულებელი იყო აქაური უამრავი ანკარა წყარო — ნაკადულები და ღელეები; რბილი და სალბუნი იყო ადგილობრივი კლიმატი, დედის ძუძუსავით ნოყიერი და შესარგი მისი ნიადაგი, მარჩენალი იყო უამრავი ჯიშებით შემკული და ურიცხვი ნადირ-ფრინველით დამშვენებული ტყე.

მშვენიერების სასარგებლოსთან სწორედ ეს იშვიათად ჯანმრთელი შეხმატკბილება ქმნის დასრულებულობის, სრულყოფილების, უფრო მეტიც — უნივერსალურობის ჭეშმარიტ ცნებას. ეს კანონზომიერიცაა: ორივე თვისებას აქვს ერთი საერთო რამ, ორივენი, როგორც უცილობელი და უძლიერესი იმპულსები, მარადიულად და უცვლელად ემსახურებიან სიცოცხლის განვითარებას.

შენი პიონერული აქტივის სკოლის ბოლო მეცადინეობა ალბათ მაისში შედგა. უფროსმა პიონერხელმძღვანელმა მთელი წლის მუშაობის შედეგები თქვენთან ერთად გააანალიზა და მომავალ ამოცანებზედაც გესაუბრათ; ამ დღეს თითოეული თქვენგანი უთუოდ საზაფხულო დავალებებსაც მიიღებდა.

პიონერ-აქტივისტი, სულერთია, სადაც უნდა ატარებდეს ზაფხულის დღეებს, ბავშვთა კოლექტივის ორგანიზატორად რჩება. ამიტომ სოფელში დასასვენებლად რომ ჩახვალ, შინ ნუ ჩაიკეტები; გაიცანი პიონერ-აქტივისტები, აამბობინე რას აკეთებენ მარშის სვლაგეზების მიხედვით; რასაც საინტერესოდ მიიჩნევ, უბის წიგნაკში ჩაინიშნე და სექტემბერში შენს მეგობრებს გაუზიარე, ან კიდევ პიონერული აქტივის სკოლის პირველსავე მეცადინეობაზე გააცანი თანატოლებს.

თუ ბანაკში ისვენებ, ეცადე იაქტიურო, არავის ათქმევინო შენი სკოლის პიონერთა ორგანიზაციაზე — ზარმაცები ყოფილან, თავისი რაზმეულიდან ერთი საინტერესო საქმეც ვერ გაიხსენაო.

ჩაიხედე ზაფხულის კალენდარში და თავად გახდი საინტერესო საქმეთა მოთავე და მოკარნახე, პირველ რიგში კი — მათი აქტიური შემსრულებელი.

ბანაკების ანძებზე წითელი ალმები ივნისის დასაწყისში აფრიალდა. ამ დროს სადაც უნდა იყო, 10 ივნისი ბანაკის პიონერხელმძღვანელებთან ერთად შენი სკოლის პიონერხელმძღვანელსაც მიულოცე: ამ დღეს მათს ჟურნალ „ვოჟატის“ 60 წელი უსრულდება. „ვოჟატი“, „პიონერი“ და „მურზილკა“ ერთდროულად გამოვიდა.

საბჭოთა პიონერული პრესა ჩვენი ქვეყნის კომკავშირული და პარტიული პრესის თანაბარუფლებიანი შემადგენელი ნაწილია. თითოეულ გამოცემას თავისი ისტორია აქვს და თავისი მკითხველი ჰყავს. 1924 წლიდან დღემდე „ვოჟატის“ დახმარებით აღზრდილი ყველა თაობის პიონერხელმძღვანელი რომ შეგვეკრიბა, ალბათ ვერც კი დავითვლიდით, იმ წითელყელსახვევიან კომისართა მრავალმილიონიან არმიას, რომლებიც წლების მანძილზე შესაშური ერთგულებით ემსახურებოდნენ ნორჩ ლენინელთა აღზრდის საქმეს.

პიონერული აქტივის კლუბის მუშაობას
ხელმძღვანელობს ნორჩ პიონერთა
რესპუბლიკური საბჭოს წევრი
ნათელა ფაილოძე

ბაღაფურცლე ზაფხულის კალენდარი

ჟურნალ „ვოჟატის“ ფურცლებზე ესაუბრებოდნენ მათ ნადეჟდა კრუპსკაია, მიხეილ კალინინი და არკადი გაიდარი, თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწენი, პარტიული, კომკავშირული მუშაკები, მწერლები, მეცნიერები და პედაგოგები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი.

დღეს, როგორც ყოველთვის, მას გარშემო ახვევიან მკითხველები, რომელთა შორის შენი პიონერხელმძღვანელიცაა; ჟურნალი მათ თვალწინ ფურცლავს საკავშირო პიონერთა ორგანიზაციის ისტორიას, მოაგონებს ან ასწავლის თქვენთვის — ბავშვებისათვის განკუთვნილ თამაშებს, სიმღერებს, ცეკვებს; რაკი

ჟურნალის იუბილე ზაფხულს ემთხვევა, ჯერ საქალაქო თუ ქალაქგარეთა პიონერულ ბანაკებში დაიწყება მისი აღნიშვნა, შემდეგ კი, აგვისტო-სექტემბერში, სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებში, კლუბებში, პიონერთა სახლებსა და სასახლეებში გაგრძელდება. ეს იქნება საინტერესო მოგზაურობა ჟურნალის ფურცლებზე, შეხვედრები მის გმირებთან, კონფერენციები, დისპუტები; შეგიძლიათ მოაწყოთ „ვოჟატის“ ნომრების გამოფენაც.

22 ივნისი ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ სსრ კავშირის დიდი სამამულო ომის დაწყების დღეა. მთელი საბჭოთა ხალხი ემზადება ამ ომში ჩვენი გამარჯვების 40 წლისთავის აღსანიშნავად.

როგორ აღინიშნება 22 ივნისი პიონერთა ბანაკებში? რასაკვირველია, ამას ყველა თავისებურად გააკეთებს და ყველაფერი პიონერული აქტივის სიყოჩაღეზეა დამოკიდებული.

ამ დღეს დილის შემოწმებაზე ბავშვებთან ერთად აუცილებლად იქნებიან დიდი სამამულო ომის ვეტერანები; ისინი მოუთხრობენ პიონერებს ომის მძიმე დღეებზე, იმაზე თუ რა ძვირად დაუჯდა გამარჯვება ჩვენს ქვეყანას. შემდეგ კი საზეიმო ცერემონიალით მინდვრის ყვავილებისაგან დაწნულ გვირგვინებს მდინარის წყალს გაატანთ.

საღამოს ყველანი პიონერული კოცონის ირგვლივ შეიკრიბებით, აქ გაიხსენებთ ომში დაღუპულ გმირ პიონერებსა და კომკავშირელებს; შეიძლება, ეს დღე დუმილის წუთით დაიწყოს; დიდების ყვავილწნული მიიტანოთ შინმოუსვლელთა ობელისკთან თუ მემორიალთან; მოაწყოთ საზეიმო ხაზი, რომელსაც ზეპირი ჟურნალით დაამთავრებთ; მასში მთელი ბანაკი მიიღებს მონაწილეობას, თითო რაზმი ზეპირი ჟურნალის თითო გვერდს მოამზადებს, ხოლო მისი თითოეული ფურცელი 40-იანი წლების საბრძოლო დღეების დოკუმენტური ან ლირიკული თხრობა იქნება; ამ დღეს მშვიდობის დამცველთა მანიფესტაციაც შეიძლება მოეწყოს დევიზით: „ომი? — არა და არა!“

25 ივნისი საბჭოთა ახალგაზრდობის დღეა. ზაფხულის ამ დღეს ბანაკში საინტერესო პროფესიების ახალგაზრდები მოიწვიეთ. შეიძლება ეს დღე კომკავშირელებისადმი მილოცვით დაიწყოთ; შეიძლება ბანაკის რადიოთი გადაიცეს სიმღერები მათი თხოვნით, აგრეთვე კომკავშირული და ახალგაზრდული სიმღერები პიონერთა თხოვნით. საღამო დაასრულეთ ზეპირი ჟურნალით „კომუნიზმი — ეს მსოფლიოს ახალგაზრდობაა, მას ახალგაზრდები აშენებენ!“

29 ივლისი სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეა; ამ დღესთან დაკავშირებით ბევრ პიონერულ ბანაკში ზეიმი პიონერული ხაზით დაიწყება, რომელსაც მეზღვაურები დაესწრებიან; ანძაზე პიონერულ ალამთან ერთად სამხედრო-საზღვაო ფლოტის ალამიც აფრიალდება. ბავშვები მეზღვაურებს მიულოცავენ დღესასწაულს, გადასცემენ სუვენირებს. მეზღვაურებთან შეხვედრები რაზმებშიც ჩატარდება. შეიძლება მოეწყოს ნორჩ გემთმშენებელთა ნამუშევრების გამოფენაც: სტადიონზე გაიმართება სპორტული შეჯიბრებები; წიგნის მოყვარულები სამხედრო-საზღვაო ფლოტისადმი მიძღვნილი ნაწარმოებების მკითხველთა კონფერენციას მოაწყობენ. ზოგიერთ ბანაკში ეს დღე საინტერესო თამაშით წარიმართება, მთელი ბანაკი „ხომალდად“ იქცევა, რაზმეული კი — მებრძოლ რაზმად; იმ დღის რეჟიმი ბანაკში გემის ყაიდაზე აიგება, ხოლო ყველა პიონერული დავალება დროებით „ზღვაოსნური“ იქნება. წარმოიდგინეთ, რომ ყველა რაზმს ჰყავს თავისი ბოცმანი, კაპიტანი და მეზღვაურები, ხომალდი-რაზმი თავისი კურსით მიემართება. გაისმის მეზღვაურული სიმღერები, მიმდინარეობს ორგანიზებულობის, დისციპლინის, ორჩ მეზღვაურთა ცოდნისა და ჩვევის დათვალიერება.

12 აგვისტო ფიზკულტურელის საკავშირო დღეა. ამ დღეს ბანაკში შეიძლება გაიმართოს სპორტული ზეიმი დევიზით; „ჩვენ სპორტული ცვლა ვართ“. საზეიმო ნაწილთან ერთად მოეწყობა პიონერული რაზმების სპორტული პარადი, შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობებში, აგრეთვე ფიზკულტურული ზეიმი ცნობილი სპორტსმენების მონაწილეობით. ზეიმს კოცონით დაამთავრებთ, სადაც სპორტისადმი მიძღვნილი სიმღერები და სპორტული თამაშები შესრულდება; მოეწყობა ვიქტორინები; ასეთი ზეიმი მეზობელი პიონერული ბანაკის დამსვენებლებთან ერთადაც შეგიძლიათ მოამზადოთ.

18 აგვისტო. 1929 წლის 18-25 აგვისტოს მოსკოვში ჩატარდა ნორჩ პიონერთა საკავშირო შეკრება. გაიხსენეთ ეს შეკრება. ისაუბრეთ მის მნიშვნელობაზე.

გარდა ამისა, ბანაკში რაზმისა და რაზმეულის სამუშაო გეგმების შედგენის დროს ნუ გამოგრჩებათ თარიღები:

16 ივნისს (59 წლის წინათ, 1925 წ.) ყირიმში შეიქმნა ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ბანაკი „არტეკი“.

12 ივლისი კომკავშირისათვის ვ. ი. ლენინის სახელის მინიჭების დღეა (1924 წ.).

12 ივლისს (24 წლის წინათ, 1960 წ.) შეიქმნა სრულიად რუსეთის პიონერული ბანაკი „ორლიონოკი“.

აგვისტოში, 60 წლის წინათ (1924 წ.) პიონერულ რაზმებთან შეიქმნა ოქტომბრელთა ჯგუფები;

...ერთხელ კიდევ გადაფურცლეთ ზაფხულის კალენდარი. წინასწარ მოიფიქრეთ ზეიმის, შეკრების თუ შეხვედრის, კონკურსის, დავალიერების, თუ შეჯიბრებების მოსამზადებელი გეგმები. ეს — პიონერული აქტივის მოვალეობაა.

ვური

ჰრანგ მათევოსიანი
მხატვარი
ედუარდ ამგოკაძე
მოთხრობა

მამაჩემს ცული ეჭირა და გომის გასაკეთებლად მიდიოდა; აკალთავებული დედაჩემი მინდორში ეშურებოდა კარტოფილის ამოსაღებად; ბიძაჩემს ფიწალი გაედო მხარზე, მთაში თივის საბულულავებლად მიიჩქაროდა. მე კი ეზოში ვიჯექი, მზისგულზე, და პურის ჭამით ვკითხულობდი საგმირო-სათავგადასავლო წიგნს.

კვირადღე იყო; სკოლაში ბრწყინვალე ფრიადებს ვიღებდი სომხურ ენაში; რუსულშიც, მათემატიკაშიც, გეოგრაფიაშიც და, საერთოდ, ყველა საგანშიც ფრიადოსანი ვიყავი; საგმირო-სათავგადასავლო წიგნი კარგი წიგნი იყო; მამაჩემი კარგი მამა იყო; დედაჩემს ძალიან ვუყვარდი; ბიძაჩემი ლამაზი და ძლიერი ვაჟკაცი იყო; ჩვენი ერდოს მერცხლები წეროებთან ერთად უკვე თბილ ქვეყნებში გაფრენილიყვნენ; ბაღებსა და ტყეებზე შრიალით ეშვებოდა შემოდგომა... ერთი სიტყვით, ჩვენი ღორები რომ დაკარგულები არა ყოფილიყვნენ, იმ წუთას ქვეყანაზე ყველაფერი უზომოდ მშვენიერი იქნებოდა.

იღლიაში ცულამოჩრილი, კალთაკრეფილი და მხარზე ფიწალგადებული უფროსები საქმეზე წასვლის წინ დამდგარიყვნენ, მიყურებდნენ და ხარობდნენ — შვილი გვეზრდებაო; აგერ, ხელისგულები ლოყებზე შემოუწყვია და წიგნსა კითხულობსო. კალთააკრეფილმა დედაჩემმა ალბათ გაიფიქრა, ვუთხრა თუ არ ვუთხრაო, და გადაწყვიტა, აღარ ეთქვა, შვილისთვის ხელი არ შეეშალა. შვილმა, დაე, იკითხოს წიგნი და მეცნიერი გამოვიდეს. იღლიაში ცულამოჩრილმა მამაჩემმა ალბათ იფიქრა, ვთხოვო თუ არ ვთხოვოო, და გადაწყვიტა არ ეთხოვნა. შვილმა, დაე, იკითხოს წიგნი, თან პური ჭამოს და თან იკითხოს. მე ვკითხულობდი და ვგრძნობდი, რომ უნდოდათ რაღაც ეთქვათ ჩემთვის ღორების თაობაზე, მაგრამ თავს ვიკავებ-ნებდი, თითქოს ვერაფერსაც ვერ ვხვდებოდი და მხოლოდ საგმირო წიგნსა ვკითხულობდი, რადგან კარგია, ძალიან კარგია, როცა წიგნებში სხვები მიდი-მოდიან, სველდებიან, იყინებიან, იბრძვიან, მარცხდებიან, იმარჯვებენ და, ცუდია, ცუდზე უარესია, როცა მე თვითონ უნდა წავიდე, დავიღალო და ვიპოვნო ან ვერ ვიპოვნო ჩვენი ღორები.

გომი უეჭველად უნდა გაკეთებულიყო, თოვლის დადებამდე კარტოფილი უეჭველად უნდა ამოღებულიყო, თივა უეჭველად უნდა დაბულულავებულიყო. მაშასადამე, მამაჩემს, დედაჩემსა და ბიძაჩემს არ შეეძლოთ ამ კარს მომდგარი ზამთრის პირას არ წასულიყვნენ გომის გასაკეთებლდ, კარტოფილის ამოსაღებად და თივის დასაბულულავებლად. და მამაჩემმა ბოლოსდაბოლოს მითხრა:

— ერთი რამე რომ გთხოვო?!.

მე ვიცოდი, რაც უნდა ეთხოვნა მამაჩემს, მაგრამ მაინც შევეკითხე:

— რა უნდა მთხოვო?

ძალიან დიდი სირცხვილი იყო, რომ ვიცოდი მისი სათხოვარი, მაგრამ თავს განგებ ვიუმეცრებდი.

— ჩვენი ღორები „მზვარე ველობში“ უნახავთ, — თქვა მამაჩემმა.

— ვის უნახავს? — შევეკითხე მე.

— მეტყევეს.

— როდის უნახავს?

— გუშინ საღამოს.

იმდენი ვინამუსე, რომ აღარ შევეკითხე, რატომ უნახავს-მეთქი. ესა ვკითხე:

— „მზვარე ველობი“ სად არის?

— შენ, მგონი, კარგად უნდა იცოდე, სადაც არის „მზვარე ველობი“.

— აი, ისა, შორი?

მან არაფერი მიპასუხა და მივხვდი, რომ, ცოტა არ იყოს, ეწყინა. მე შევეკითხე:

— გინდა, წავიდე, ვიპოვნო და მოვრეკო ღორები?

— მე არაფერიც არ მინდა, — თქვა მან.

— ჩვენი ღორები „მზვარე ველობში“ უნახავთ. მერე? — ვთქვი მე.

ის პასუხის მოუგებლად შეტრიალდა წასასვლელად.

— კარგი, — ვთქვი მე. — წავალ,

მაგრამ იქ თუ არ დამიხვდნენ, რა ვქნა?

— არ ვიცი.

მას მართლა სწყინდა, რადგან თვითონ არ შეეძლო საძებნელად წასვლა, მე კი, როგორც ერთი უქნარა, ბრიყვული შეკითხვებით ვაწუხებდი.

— ბოდიში, — თქვა მან. — შენ შენი წიგნი იკითხე, ბოდიში.

— კარგი, — ვთქვი მე. — როგორმე კვალს მივაგნებ და კვალზე კიდევ იმათ მოვძებნი.

შემოდგომური მცხრალი მზე იდგა, იმ შემოდგომური მზის ნელ სიმცხრალეში ლამაზიანობდნენ მერცხლების მდუმარე ბუდეები, ტოტებზე თითო-ოროლა ვაშლშერჩენილი ვაშლის ხეები, დედაჩემის რბილი ღიმილი, ჩემს ფერხთით მთვლემარე მოჟღალო ძაღლი, მამლის წითელი ბიბილო და მოულოდნელად აწივწივებული ბლისხე. გავხედე ბაღს, ბაღში — ბლისხეს და ბლისხეზე კიდევ გულყვითელა ჩიტს, რომელსაც ასეთ გვიან შემოდგომაზე ხეზე ბალი ეპოვნა და გაკვირვებისაგან წივწივებდა. მიმოვხედე ყველაფერს და მივხვდი, რომ შემოდგომის მცხრალ მზეში გალურსულ იმ ნაღვლიან მშვენიერებას მარტო მე ვამახინჯებდი, რადგან თავს ისე ვაჩვენებდი, თითქოს წიგნის მიზეზით არ მინდოდა ღორების საძებნად წასვლა.

ამიტომაც ვთქვი:

— წიგნს ღორებთან წავიკითხავ.

— მადლობელი დაგირჩები, — თქვა მამაჩემმა, — ძაღლი, თუ გინდა, დარჩეს და ქათმებს უდარაჯოს, თუ გინდა თან წაიყვანე. გმადლობთ! — დაუმატა მამაჩემმა კიდევ. მე ცოტა შემრცხვა.

— კარგი, — ვთქვი. — ძაღლს თან წავიყვან.

ჩამაცვეს მატყლის თბილი და რბილი სვიტერი, საღამოობით რომ მიქსოვდა დედაჩემი; ჩამაცვეს რეზინისძირიანი მსუბუქი ფეხსაცმლები, ტყავისძირიანებით რომ ურიანზე ფეხი არ ამცდენოდა; ჩამაცვეს ესენი და სიყვარულით შემომხედეს, რადგან სვიტერი ძალიან მიხდებოდა, და მათი შვილი და ძირი ვიყავი.

— ახლა წავიდე? — ვთქვი მე.

— შენ და ბიძაშენს „ბრმა წყარომდე" ერთი გზა გიდევთ. „ბრმა წყარომდე" ბიძაშენს გაჰყევი, იქიდან კი ბუწკნარის ბილიკით „მზვარე ველობისაკენ" გაუხვევ.

ძაღლი არ მომყვებოდა, კიდევ გავძახე. ზანტად წამოდგა და ზარმაცად გამოიზლაზნა. ის იცნობდა „გაღმა ტყის" ქურდ ძერას და „გაღმა ტყის" ქურდი ძერაც იცნობდა მას. ისინი ძველი ნაცნობები იყვნენ. „გაღმა ტყის" ქურდი ძერა ქორივით მაღლა-მაღლა კი არ დალივლივებდა, არამედ ბუჩქიდან ბუჩქზე, ხიდან ხეზე გადანაცვლებით და ხან თითქმის ცოცვითაც კი ეპარებოდა ჩვენს ქათმებს. ძაღლი კვლავ შედგა. მე თვალი მივატანე, ქურდი ძერა იყო თუ რა, მართლა ქურდულად რომ გადაფრინდა ბუჩქნარიდან ბუჩქნარში, მაგრამ გავიფიქრე, ძაღლი ხომ ისეთივე საჭირო საქმეზე მიმყავს, როგორიც ქათმების ყურისგდებაა-მეთქი და სტვენით მოვუხმე ძაღლს. ის ჯერ ნება-უნებურად, ძალისძალათი მოგვდევდა, მერე კი, როცა სოფელს გავცდით და ძერაც მიავიწყდა, მხიარული წკმუტუნით წინ გავარდა და გაგვიძღვა. ეტყობა, მონატრებოდა ტყე, ღორები, სირბილი და დაღლა.

შინ ჩემი საწერი მაგიდა იყო, შუქფარის თბილი და მოალერსე სინათლე, ჩემი მცირე ბიბლიოთეკა, რადიოს მიბნედილი სიმღერა და ჩემი ტახტი, აგრეთვე აქლემის მატყლისგან ნაქსოვი სქელი შალი, რათა ღამისით ხანდახან წამეთვლიმა. აქ კი, ტყეში, დათვები იყვნენ, სპილოები, ვეფხვები, ავაზები, ეშმაკები, დევები და ურჩხულები. ჩვენი ღორებისა და ჩემი აღმატებულების გარდა ყველანი ტყეში იყვნენ და მეც მივდიოდი ტყეში, მანძილდაგდებით მივდევდი ბიძაჩემს და ნელ-ნელა უკანა ვრჩებოდი. ხელში გადაშლილი წიგნი მეჭირა და ასე წიგნში ყურებ-ყურებით მივდევდი, ვითომ არ შემეძლო წიგნს მოვწყვეტოდი და ვითომ უკან კითხვის მიზეზით ვრჩებოდი.

ჩვენი ძაღლი ჯვარბილიკაზე. „ბრმა წყაროსთან" გველოდებოდა. წყაროს „ბრმა" ეწოდებოდა. ამის გამო, რომ სიღრმე-წიაღიდან წვრილი სილა ამოჰქონდა და ეს სილა წყაროსთვალსა ჰკეტავდა, აბრმავებდა. წყარო ახლაც სავსე იყო წვრილი სილითა და შლამით. იმ ბრმა თვალის ჩაღმა, მიწის ქვეშ, წყარო ალბათ იხრჩობოდა.

ბიძაჩემი ჩაჰყურებდა თითქმის უკვე ჭაობად ქცეულ წყაროს. მერე თავისი საველე ჩანთიდან თავისი საველე საჭმელი ამოიღო, მოხარშული ქათამი შუაზე გახლიჩა, ლავაშში გაახვია, ის გახვეული კიდევ გაზეთში გადაახვია, იღლიაში ამომიჩარა და თავით „მზვარე ველობის" ბილიკისაკენ მანიშნა.

— წყალი მინდა დავლიო, — ვუთხარი მე.

— „მზვარე ველობის" წყაროზე დალიე, — მითხრა მან, — დიდი მუხის ძირას. წადით!

ძაღლი მხიარული წკმუტუნით გაიჭრა ბილიკისაკენ. ერთი წამით მეც გავხალისდი და სირბილით გავყევი. ნაყარ ხმელ ფოთოლს ფეხქვეშ დამაყრუებელი შრიალი გაუდიოდა. სანამ მივრბოდი, სულ ის შრიალი მესმოდა, სულ იმ შრიალით მქონდა გატენილი ყურები. შევჩერდებოდი და შრიალიც მიწყდებოდა, მკვდარი მდუმარება ჩამოდგებოდა და იმ მდუმარებაში ყური ძლივსღა თუ იჭერდა ფარფატით ჩამონადენი ფოთლების შრიალს. ფეხქვეშიდან შავი შოშია ამიფრინდა წრიპინით და ისევ ღრმა მდუმარება ჩამოდგა. მეჩვენებოდა, თითქოს ტყე ცოცხალი იყო და იმის მშვიდ ფშვინვას ვუსმენდი.

უკან მივიხედე. ბიძაჩემი წყაროსთან წაჩოქილიყო და რაღაცას აკეთებდა. ტყეში ცოტაც შევღრმავდი და კიდევ მივიხედე უკან. მომეჩვენა, ბიძაჩემი წასულა-მეთქი, მაგრამ არ წასულიყო, ჯერ ისევ წახრილი საქმიანობდა და ძნელად შეიმჩნეოდა, რადგან მიწის ფერი იყო ვზაც და მისი ტანსაცმელიც. მე ხეს მოვეფარე, დავჯექი და თავი რომ მომეტყუებინა, ვითომ მართლა რამეს ვაკეთებ-მეთქი, ჩემი საგმირო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათავგადასავლო წიგნი გადავშალე. გადაშლით კი გადავშალე, მაგრამ კითხვა არც მიფიქრია, წიგნზე დახრილი ველოდი, თუ როდის გაშორდებოდა ბიძაჩემი იმ გზას, საითაც უკანვე უნდა ჩამევლო. ის ახლა იჯდა წყაროსთან, პაპიროსს ეწეოდა და, როგორც მეჩვენებოდა, მე გამომყურებდა. „რატომ ზიხარ, მაგალითად, ასე უსაქმურად, — გავიფიქრე მე, — ღორების პოვნა თქვენი საქმეა, წიგნის კითხვა კი — ჩემი. მე, აი, ჩემს წიგნსა ვკითხულობ, თქვენ კი უსაქმურად სხედხართ". და თავი რომ უფრო მომეტყუებინა, ორივე ყური თითებით დავიგმანე და მხოლოდ წიგნს მივადევნე თვალი, ვითომ ვკითხულობდი, ვითომ მთელი არსებით წიგნში ვიყავი ჩაძირული.

შორეული, სუსტი შარიშური შემესმა. წიგნს თვალი მოვაშორე და ყურებიდან თითები გამოვიღე. ის შარიშური თუ ფაჩუნი გაძლიერდა და ძალიან ახლოდანაც ისმოდა. შეშინებაც კი ვერ მოვასწარი, რომ ჩვენი ძაღლი დავინახე. მოწყვეტით მომვარდა და მხიარულად შემომეტოტა, შეხტა და წკმუტუნით გამიხმო „მზვარე ველობისაკენ". მეტად რომ აღარ ეწკმუტუნა და შრიალი არ აეყენებინა, ჩემი პურის ნახევარი გადავუგდე. ის იქავე, ხის ძირას წამოყუნტდა და მომაჩერდა, აბა კიდევ რას მიწილადებსო.

ქათმის თეთრი, ფენა-ფენა ხორცი მე შევჭამე, ძვალი მას გადავუგდე. კისრის ტყავი მე შევჭამე, ძვალი მას გადავუგდე. ცოტა ყელზე კი მადგებოდა, რადგან ღორები არ მიძებნია, მაგრამ მაინც ვჭამდი. ქათმის ბარკალი უჩვეულოდ გემრიელი იყო, ისიც გამოვხარი და ძვალი ძაღლს გადავუგდე. „ესეც შენა!" — დავატანე თანაც.

წყაროსთან ახლა აღარავინ ჩანდა. მე ბილიკით ჩავბრუნდი გზაზე.

— წავედით! — ვუთხარი ძაღლს. ის მიყურებდა და არ იძვროდა; არ სჯეროდა, თუ უკვე უკან ვბრუნდებოდით.

— შენი ნებაა, — ვუთხარი მე. — თუ დარჩენა გინდა, დარჩი.

ჩავედი გზაზე და წყაროსთან მივედი. წყაროსთვალში ახლა შლამი და ლაფი აღარ მოჩანდა, წყაროსთვალი აღარ იყო ბრმა. ახლა უხვად, თავისუფლად ამოჩუხჩუხებდა, პირდაპირ დუღდა და თამაშობდა. ტინში ჩამჯდარი მისი ლურჯი თვალი ახლა უკვე სავსედ და ანკარად გამოიყურებოდა. მის კრიალა სარკეში ჩემი მაძღარი და ბრიყვული ცხვირ-პირი დავინახე. ცოტა არ იყოს, ჩემი თავისა შემრცხვა, მაგრამ ძალიან მწყუროდა და დასალევად დავიხარე. ის წყალი არამი იყო ჩემზე, მაგრამ ამის შეგნებაც ვერ მოვასწარი, რომ უკვე წყალსა ვსვამდი... ის წყარო, ის ქათმის ხორცი, ის ძაღლი, ის ტყის შარიშური, ის მამაჩემი, ის დედაჩემი — ერთად თუ ცალ-ცალკე რომ ყველა ძალიან კარგი იყო და მე — ძალიან ცუდი, მაგაზე არ ვფიქრობდი და ყლუპ-ყლუპად ვსვამდი წმინდა წყაროს. გულშიც არ გამივლია, რომ ის წყარო ჩემი არ იყო და მე არ მეკუთვნოდა. მაძღრისად დავლიე და კმაყოფილი ვიყავი.

ტყიდან რაღაც ხმა შემომესმა. თითქოსდა ღორის ღრუტუნსა ჰგავდა. მე ერთხელ კიდევ ცოტა თითქოს გამქეჯნა, მაგრამ დავადე თავი და სახლის გზას გავუყევი, სადაც შელოდებოდა ჩემი ტახტი, ჩემი საწერი მაგიდა, ჩემი თბილი კუთხე.

როცა სოფელს მივუახლოვდი, მოვიხედე. ძაღლი ზანტად, უწადინოდ მომდევდა უკან.

— არ გინდოდა და ნუ წამოხვიდოდი, — ვუთხარი ძაღლს. — ვინ გაძალებდა? არავინ!

ძერას წიწილა მოეტაცნა თუ არ მოეტაცნა, ეგ არ მიძიებია. „ქათმების ამბავი დედაჩემს ეკითხება; ეგ დედაჩემმა იკითხოს, ძერამ რომელიმე მოსტაცა თუ არ მოსტაცა, — გავიფიქრე მე. — გეოგრაფიაში გა-

თამაში ოვალური ჯოხით

რეგბი — ეს არის სპორტის ერთადერთი სახეობა, რომელიც ქალაქის სახელს ატარებს. მისი დაბადების ოარიღად 1823 წლის 7 აპრილი ითვლება. ამ დღეს ქალაქ რეგბის (იგი ლონდონიდან 200 მილის დაცილებით მდებარეობს) კოლეჯის მოსწავლე უილიამ ვებ ელისმა დაარღვია ბურთით თამაშის წესები და ამით სათავე დაუდო სპორტის ახალ სახეობას.

რეგბის მოყვარულები ხშირად ამბობენ: „ნამდვილი რეგბისტი რომ გახდე, უნდა დარბოდე ავაზასავით სწრაფად, უნდა იყო დათვივით ღონიერი, კვერნასავით მოქნილი და მელასავით ცბიერი“.

რეგბის ორიგინალობა და სილამაზე კოლექტიურ ძალისმიერ ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედებაშია. რეგბი ფაქტობრივად სპორტის რამდენიმე სახეობის სინთეზია: მხოლოდ აქ შეიძლება ითამაშო ხელითაც და ფეხითაც, მხოლოდ აქ შეიძლება იხილო კალათბურთელის ფინტები და ხელბურთისათვის დამახასიათებელი გადაცემები, სპრინტერული თუ სტაიერული რბენა, კარში ფეხბურთისებური დარტყმები, მოჭიდავის ილეთები... „რეგბიში მე, მაგალითად, ბრძოლით გატაცებას კი არა, წვრთნის გასაოცარ შედეგებსაც ვხედავ და არ შემიძლია არ ვიფიქრო, რომ ამ ახალგაზრდა რეგბისტებისგან ჩამოყალიბდებიან შესანიშნავი მებრძოლები, მებრძოლები როგორც ბრძოლის ველზე, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ისე ცხოვრებისეულ ყოველდღიურ ფრონტზე“, — თქვა განათლების პირველმა საბჭოთა კომისარმა ა. ლუნაჩარსკიმ.

ძნელია დაასახელო სპორტის სხვა რომელიმე სახეობა, ესოდენ ეფექტურად რომ უწყობდეს ხელს სპორტსმენის მრავალმხრივ განვითარებას. ურთიერთმხარდაჭერა, თანადგომა, გატანა, ჯენტლმენობა, არტისტიზმი, სიფაქიზე, ვაჟკაცობა, — აი, რა არის რეგბი! ეს ყველაფერი ამ თამაშის ხასიათიდან გამომდინარეობს.

რეგბი უფრო და უფრო პოპულარული ხდება მთელ ჩვენს პლანეტაზე.

კვეთილი ვიცი. ისტორიაში — ვიცი, მათემატიკაში დავალება...“

მამაჩემი ტახტის კიდეზე ჩამომჯდარიყო და ღიმილდაფენილი თვლემდა. წელი წინანდებურადვე სტკიოდა, მაგრამ რატომღაც იღიმებოდა, ეგ ვეღარ გავიგე.

— ეგ რადიო რასა მღერის?

— კომიტასს.

— თავისი დაწერილია თუ თვითონა მღერის?

— თავისი დაწერილია, კომპოზიტორი თვითონ არის.

ის იღიმებოდა. მერე თქვა:

— ყოჩაღ, ყოჩაღ, რომ ისტორია ასე კარგად გცოდნია!

— ვინა თქვა?

— შენი მასწავლებლები იყვნენ აქა, მეხმარებოდნენ. სახვალიო გაკვეთილები კარგად იცი?

— ვიცი.

— მადლობა! — თქვა მან. — ეგ არაფერი, ღორები რომ ვერ გიპოვნია. ახლა მე წავალ და მოვრეკავ.

— ახლა ბნელა, — ვთქვი მე.

— გუშინ მგელს ტყეში მუშეღის ღორები დაუჭამია; მეშინია, ჩვენებსაც არა ავნოს-რა.

მას ყოველწამს ტახტიდან წამოდგომა უნდოდა და ვერა დგებოდა. არ უნდოდა მხართეძოზე მიწოლილიყო, მაგრამ ბოლოს მაინც მიწვა.

— როცა ვწევარ, აღარა მტკივა, თქვა მან. — მარტო „მზვარე ველობში“ იყავი თუ სხვა ადგილებშიცა სძებნე?

— მარტო „მზვარე ველობში“ ვნახე, — ვუთხარი მე.

— მაშ მე „მზვარე ველობში“ აღარ წავალ, — თქვა მან. — არადა, იმედი მქონდა, რომ იქ იქნებოდნენ.

— რა ვიცი, — ვთქვი მე, — ბილიკი ნეშოთი იყო მოფარულ-მოშანშლული; არ ვიცი, „მზვარე ველობში“ ვიყავი თუ სხვა რომელიმე ველობში.

— ველობის განაპირას დიდი მუხა იდგა?

— ერთი დიდი მუხა იდგა, მუხის ქვეშ კიდევ წყარო იყო, — ვთქვი მე.

მტკივანი წელის წმაწვნითა და პირის ჭმაჭვნით იგი უცებ წამოდგა და ქუდს დაუწყო ძებნა. მეტისმეტი დაღლილობისაგან ისე იყო გასავათებული, ქუდი ხელში ეჭირა და მაინც ეძებდა.

— აფსუს, რომ „მზვარე ველობში“ არა ყოფილან, — თქვა მან. — ალბათ გაიშორიელეს და „ჩაღმა ველობში“ გავიდნენ.

— წელი რომ გტკივა? — ვუთხარი მე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაზე. ზოგს რეგბი უხეში თამაში ჰგონია. მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ფეხბურთში, მაგალითად, უფრო ხშირია ტრავმები, ვიდრე რეგბიში. ეს მრავალგზის შემოწმებული და დამტკიცებული ფაქტი გახლავთ.

ჩვენს ქვეყანაში დიდი პოპულარობით სარგებლობს ყოველთვიური სპორტულ-მეთოდური ჟურნალის — „სპორტივნიე იგრის" ტრადიციული საკავშირო ტურნირი მინი-რეგბიში (12-14 წლის ბიჭებისათვის). ამ ასპარეზობას, რომელიც 1975 წლიდან ყოველწლიურად ტარდება, სახელად „ოქროს ოვალი" ჰქვია.



მინი-რეგბი

არსებობს რეგბის ნაირსახეობები: რეგბი-15 და მინი-რეგბი.

მინი-რეგბიში შეიძლება იყოს 5,7 და 9 მოთამაშე, რეგბის ეს ფორმა კარგი საწვრთნელი საშუალებაა რეგბისტებისათვის, ამასთანავე იგი რეგბის ცალკე სახეობადაც ითვლება — მოზრდილებს შორის ტარდება ოფიციალური შეჯიბრებები, ტურნირები მრავალი გუნდის მონაწილეობით. მინი-რეგბის მატჩებზე ინგლისსა და საფრანგეთში ზოგჯერ 70-90 ათასამდე მაყურებელი იყრის თავს.

რუმინეთის, საფრანგეთის, ინგლისისა და ბევრი სხვა ქვეყნის სკოლებში, სპორტსკოლებსა და სპორტულ კლუბებში მრავლადაა მინი-რეგბის სექციები. ამ ქვეყნებში რეგბი უფროსკლასელ მოსწავლეთა სასკოლო პროგრამებშია შეტანილი.

რეგბის სექციებში 8-10 წლის ბიჭებს იღებენ. პირველი 4-5 წლის მანძილზე ისინი თამაშის ტექნიკას ეუფლებიან, 13-15 წლის ასაკში იწყებენ გამოსვლას მინი-რეგბის შეჯიბრებებში, 16-17 წლისანი რეგბი-15-ში გადადიან.

ჩვენი ქვეყნის რეგბის ფედერაციის გადაწყვეტილებით, თამაში რომ უფრო ემოციური გახდეს, მინი-რეგბიში დაშვებულია ფეხით თამაშიც, რაც, მაგალითად, რუმინულ მინი-რეგბიში აკრძალულია.

სათამაშო მოედანი

რეგბი-5-ისათვის სათამაშოდ გამოიყენება ხელბურთისა და კალათ-

მან დასცინა თავის სატკივარს:

— სიბნელეში თვალდაძაბული რომ გაიყურები, ტკივილი გავიწყდება!

— მეც წამოგყვები, — ვუთხარი მე.

ის მომეფერა.

— შენ დღეს ბევრი იარე. ახლა ჭამე, ცოტა დაისვენე და დაიძინე.

როცა, ის იყო, სიბნელეს შეერია, ხმამაღლა გავძახე:

— მეც მოვდივარ!

— არა! — მოჭრილად უკუიძახა მან. — შენი წიგნი წაიკითხე!

სიბნელეში ქაქანითა და რბილი ჩქამით ჩამირბინა რაღაცამ. ძაღლი იყო, მამაჩემს მისდევდა, რათა სადღაც გადაკარგულში ეპოვნა და მოერეკნა ჩვენი ღორები, რომელთა ხორციც მე მთელ ზამთარს უნდა მეჭამა, რომელთა ფასითაც უნდა მეყიდნა თბილი პალტო, შემეძინა თხილამურები, სათხილამურო ფეხსაცმელები, ფაფუკი ყელსახვევი, ყურებიანი ქუდი...

დედაჩემი ვახშამს აწყობდა. რადიო ნება-ნება მღეროდა. საწერ მაგიდას რძისფრად დაჰფენოდა შუქფარის ალერსიანი სინათლე. თეთრ სუფრაზე თეთრად ქათქათებდა კარგად გამომცხვარი თეთრი პური. პურის გვერდით თავმომჩინარობდა წითლად შებრაწული კარტოფილი. ნელი ალით მშვიდად ხწვოდა კერიის შეშა. ჩაიდანი საამოდ თუხთუხებდა. ძალიან ლამაზი იყო ჩაის ვერცხლის კოვზიც, რძისფერ სინათლეზე დარიჩინისფრად მბრწყინავი კაკლის მურაბაც; ღამე იყო ხავერდოვანი და თბილი. იმ თბილ ღამეში მარტოკინა ჭრიჭინობელა ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოსთქვამდა თავის ნაღვლიან სიმღერას, რომელიც ხან მაგიდის ახლოდან ისმოდა, ხან კერიის ახლოდან და ხანაც ჩემი ტახტიდან. ეს ყველაფერი ნაღვლიანი და მშვენიერი იყო და შექმნილი იყო ჩემთვის, მაგრამ მე ღირსი არ ვიყავი მეჭამა ეს ყველაფერი, მეცქირა მათთვის და მესმინა მათთვის.

— მე პურს არა ვჭამ! — ვთქვი მე, ჩავწექი ლოგინში და გადავბრუნდი კედლისაკენ. და აფსუსი იყო მატყლისა და ბუმბულის ის სილბო და ლოგინის ის სითეთრე-სისუფთავე, დედაჩემი მიახლოვდებოდა. მე თვალები დავხუჭე. მან საბანი ამომიკეცა და წაიბუტბუტა:

— დღეს ძალიან გაიტანჯა ჩემი ბიჭი!

ხომხურიდან თარგმნა
ზეზვა მედულაშვილმა

ბურთის მოედნები, რეგბი-7-სათვის კი — ფეხბურთის მოედანი (ჩათვლის მოედნების გარეშე). რეგბი 7-ის თამაშებზე ინიშნება 1 მსაჯი. ფეხბურთის მინდორზე შეიძლება ერთდროულად ჩატარდეს 2 თამაში (მოედნის სიგანეზე).

მოთამაშეთა რაოდენობა

რეგბი-5-ის თამაშისას გუნდში 5 წევრი და ამდენივე სათადარიგო მოთამაშეა, რეგბი-7-სას — 7 მოთამაშე და 4 სათადარიგო. მოთამაშეები შეიძლება შეიცვალონ ყოველი შესვენების შემდეგ.

ფორმა

რეგბი-5 შეიძლება ვითამაშოთ ფიზკულტურის გაკვეთილზე სახმარი სპორტული ფორმით. რეგბი-7-ის დროს ყველა მოთამაშეს უნდა ჰქონდეს ერთნაირი ფორმა (მაისური, გეტრი, შორტი, კედები...).

თამაშის ხანგრძლივობა

რეგბი-5 მოიცავს ორ 10-10 წუთიან ტაიმს 5-წუთიანი შესვენებით, რეგბი-7 ორ 15-15 წუთიან ტაიმს 10 წუთიანი შესვენებით.

თამაშის დაწყება

თამაში იწყება ცენტრიდან ბურთზე ფეხის დარტყმით.

დარტყმის დროს დამრტყმელის პარტნიორებმა უნდა დაიკავონ პოზიცია ბურთისა და პარტნიორის უკან. მოწინააღმდეგეები ამ დროს ერთმანეთისაგან დაცილებულნი უნდა იყვნენ შემდეგი მანძილით: რეგბი-5-ის დროს — არა უმცირეს 3 მეტრისა, რეგბი-7-ის დროს — არა უმცირეს 10 მეტრისა.

შერკინება

შერკინება ინიშნება: როცა დაკარგულია კონტროლი ბურთზე: წინ თამაშის დროს; ბურთის მფლობელი მოთამაშის ბლოკირების დროს; როცა შეუძლებელია თამაშის გაგრძელება; საკუთარი ჩათვლის მოედანზე ბურთის „დამიწების" შემდეგ; შერკინებიდან ბურთის არასწორი გამოსვლის (გვერდიდან) შემდეგ.

შერკინების შემადგენლობა

რეგბი-5-ის დროს შერკინებაში მონაწილეობს 2 მოთამაშე, რეგბი-7-ისას — 3, როდესაც 2 მოთამაშე დგას პირველ ხაზზე, მესამე ქმნის მეორე ხაზს.

შერკინება ინიშნება მოედნის გვერდითი ხაზიდან არანაკლებ 10 მეტრის და ჩათვლის მოედნიდან — არანაკლებ 5 მეტრის დაშორებით.

წინ თამაში

წინ თამაში ითვლება მაშინ, როცა ბურთი აისხლიტება მოთამაშისაგან და დაეცემა მოპირდაპირის მხარეს.

ამ დროს ინიშნება შერკინება დარღვევის ადგილას.

თამაშგარე

ნებისმიერი მოთამაშე, რომელიც იმყოფება ბურთის მფლობელი მოთამაშის წინ ან აკრძალულ ზონაში, ითვლება თამაშგარე მდგომარეობაში.

ამ დროს თამაში ჩერდება და ბურთი გადაეცემა მოწინააღმდეგეს ჯარიმის შესრულებისათვის.

წინ გადაცემა

წინ გადაცემად ითვლება მდგომარეობა, როცა ბურთი გადაეცემა თანაგუნდელს, რომელიც იმყოფება გადაცემის წინ, მოწინააღმდეგის ჩათვლის მოედნისაკენ. ამ დროს ინიშნება შერკინება.

აკრძალულია:

უბურთო მოთამაშის შეჩერება; მსაჯთან კამათი; უხეშობა; აკრძალული ილეთების გამოყენება; ... ხის დადება და სხვ.

თამაშის ტექნიკა

რეგბის თამაშის მიზანია შეიტანო ბურთი მოწინააღმდეგის მოედნის „ქალაქში" და დადო ძირს, „დაამიწო". დაშვებულია ბურთიანი მოთამაშის შეჩერება, შებოჭვა ორივე ხელით. ტექნიკური ილეთებიდან აღსანიშნავია ბურთის თავისებური გადაცემა — პასი, რომლის გარეშეც რეგბი დაკარგავდა სილამაზესა და კოლექტიურ ხასიათს; მინი-რეგბიში ჩართულია ბურთით რბენა, გადაცემა, შებოჭვა, შებოჭვის მოცილება, ცრუ მოძრაობები და სხვ.

მინი-რეგბიში დიდი რეგბის ყველა ელემენტი უნდა იცოდე, რადგან ყველა მოთამაშე მონაწილეობს თავდასხმაშიც და დაცვაშიც.

რადგან რეგბიში სიტუაციები ძალზე სწრაფად იცვლება, მოთამაშეს უნდა შეეძლოს ბურთის სწრაფად დაუფლება და სწრაფად გადაცემა.

სკოლის რეგბის სექციაში გაერთიანებული მოსწავლეები კარგად უნდა ერკვეოდნენ „თამაშგარე" მდგომარეობის, შებოჭვის, თამაშის დაწყებისა და ა. შ. ნიუანსებში.

რეგბის ტექნიკური ელემენტების შესწავლა შეიძლება სკოლაში ფიზკულტურის გაკვეთილზე.

11-12 წლის ბიჭებს თავისუფლად შეიძლება ვასწავლოთ მინი-რეგბის ელემენტები სპორტულ დარბაზში, რადგან რეგბის ეს სახეობა არ მოითხოვს საგანგებო ბაზას.

გაბრიელ გარჯაძე,
სპორტის ოსტატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეჯერი ლიგერი

გივი ჯიჯინაძე

წყაროსთვალი

აბა ერთი მოუსმინეთ, ბავშვებო, ამ მშვენიერ მუსიკას: „მოკაშკაშე ცაო, ზღვაო ლიცლიცაო, დათოვლილო მთაო, მთაო, ქათქათაო, ჯეჯილო და ტყეო, სულ იშრიალეო, საქართველოს მზეო, სულ იგიზგიზეო!“ იცანით? რა თქმა უნდა, ხომ? არც გასაკვირია: გივი ჯიჯინაძის ეს ლექსი, სათაურად „სიმღერა საქართველოზე“ რომ ჰქვია, თუკი ერთხელ წაიკითხე, სულსა და გულში გაგიჯდება და აღარასოდეს დაგანებებს თავს.

ახლა ის მომხიბვლელი დათუნია დრუნჩა გაიხსენეთ, ერთადერთი ქილა ერბო რომ ჰქონდა თავისთვის, მაგრამ თითო-ოროლა მუჭა ნაცნობ-უცნობი ცხოველებისთვის არ დაიშურა და ცარიელი ქილაღა შერჩა, მაგრამ სულაც არ უნანია — ხარბი არ იყო და იმიტომ. გახსოვთ? — „ნაკადულმა“ გამოსცა ამ რამდენიმე წლის წინათ ცალკე წიგნად, შალვა ცხადაძის მიერ ლამაზად დასურათებული.

ბაქია ქვასანაყის ამბავიც გეცოდინებათ, კაკლის ომში წასვლას რომ აპირებდა და ქვეყანას მოხდო, მე ვარ და ჩემი ნაბადიო. ციცხვმა ჩაჩუმა, ქინძი ვერ დაგინაყავს, უხეიროდ, კაკალს რას მოერევიო?

„დილაში“, „პიონერში“, „ნორჩ ლენინელში“, „ცისკარში“, „საქართველოს ქალში“, სხვა ჟურნალ-გაზეთებშიც ხშირად ხვდებით, ალბათ, გივი ჯიჯინაძის მშვენიერ ლექსებს, რომელთაც არა მარტო თქვენი ტოლები და თქვენზე უმცროსები, არამედ უფროსებიც ხიამოვნებით კითხულობენ ხოლმე.

სულ ახლახან კი გამომცემლობა „ნაკადულმა“ თავი მოუყარა პოეტის რჩეულ ლექსებს, გამოცანებს, გასათვლელებს, პიესებს და ასე ერთად, თაიგულივით შეკრული, შემოგთავაზათ თქვენ, ნორჩებს, რათა კიდევ ერთხელ მიეახლოთ პოეტის თვალით დანახულ მრავალფეროვან სამყაროს, კიდევ უფრო შეიყვაროთ ჩვენი ლამაზი, განუმეორებელი დედულეთი.

თენგიზ გიორგაძე

ჭადრაკის ანბანი

ბავშვებო, ბევრი თქვენგანისთვის ალბათ ცნობილია თამაში, რომელიც სპორტის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეობაა და, ამავე დროს, თან მეცნიერებისა და ხელოვნების ელემენტებიც ახლავს.

ეს — ჭადრაკია.

ჭადრაკი წვრთნის გონებას, ავითარებს ფანტაზიას, გვასწავლის ზუსტ, ლოგიკურ აზროვნებასა და სხვისი აზრის პატივისცემას, გვაჩვევს მოთმინებასა და სიბეჯითეს, გვანიჭებს ესთეტიკურ სიამოვნებას. ამ ბრწყინვალე თამაშს პატივს სცემდნენ მარქსი, ენგელსი, ლენინი, გოეთე, ნიუტონი, ტოლსტოი...

ჭადრაკი დაახლოებით ათას ხუთასი წლის წინათ შემოიტანა ჩვენს ყოფაში და ამ ხნის მანძილზე მილიონობით ადამიანის გონება დაიპყრო.

განსაკუთრებით პოპულარულია იგი საბჭოთა კავშირში და, კერძოდ, საქართველოში, რომელმაც კაცობრიობას არაერთი სახელოვანი მოჭადრაკე მისცა. ეს პოპულარობა, ჩვენდა სასიხარულოდ და საამაყოდ, დღითი დღე მატულობს, ჭადრაკის მოყვარულთა რიცხვი განუზრელად იზრდება. და აი, მათთვის, ვინც ესესაა მიუჯდა 64-უჯრიან დაფას და ამ უკვდავი თამაშის ხაიდუმლოებებთან ზიარება სურს, ცნობილმა მოჭადრაკემ და ჟურნალისტმა თენგიზ გიორგაძემ დაწერა შესანიშნავი წიგნი „ჭადრაკის ანბანი“, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ გამომცემლობა „განათლებამ“ გამოსცა.

როგორც წინასიტყვაობაშია ნათქვამი, „წიგნი აგებულია თამაშის პრაქტიკული სწავლების, თვალსაჩინოების პრინციპით, ამიტომ მასში ბევრია სასწავლო-საილუსტრაციო მაგალითი, ადვილიც და ძნელიც... წიგნში არის აგრეთვე სამაგალითო რჩევა-დარიგება, თუ როგორ უნდა იმუშაოს დამწყებმა მოჭადრაკემ თამაშის დასაუფლებლად“.

თუ გავითვალისწინებთ, რომ უშუალოდ ჭადრაკის ანბანის გარდა წიგნში მოკლედ აღწერილია ამ უკვდავი თამაშის წარმოშობის ისტორია და განვითარება, აგრეთვე დახასიათებულია მსოფლიო ჩემპიონები და უხვადაა მოტანილი ჭადრაკის კლასიკოსთა გამონათქვამები, ცხადი გახდება „ჭადრაკის ანბანის“ მართლაც განუზომელი მნიშვნელობა და სიკეთე, რომელსაც იგი, ბავშვებო, თქვენ მოგიტანთ.

ხალოვანებს

● თუ „სოკოლ-2“ ფოტოაპარატს ხმარობ და რც-53 ელემენტი ვერ იშოვე, მის მაგივრობას თავისუფლად გაგიწევს ელექტრონული მაჯის საათის ელემენტი, რომლის შოვნაც არ გაგიჭირდება.

● მხატვრებმა, მხაზველებმა თუ რეტუშორებმა ხშირად თან უნდა იქონიონ მცირეოდენი ტუში, საღებავი, წებო... საამისო ჭურჭლის მოვალეობის შესრულება თავისუფლად შეუძლია ორ ერთმანეთში ჩასმულ პოლიეთილენის საცობს. ასეთი ჭურჭელი პატარაცაა, მსუბუქიც და ჰერმეტულიც.





● თუ ფეხსაცმელი უნდა შეაკეთო, სადგისზე უფრო გამოგადგება მსხვილი სამედიცინო ნემსი, რომელიც ხის ტარშია ჩამაგრებული. ტყავს თუ ლანჩას გარედან გაბვრეტ და ძაფიან ნემსს წვეტით სამედიცინო ნემსის წვეტის ხვრელს მიაბჯენ. როცა ამგვარ „სადგისს“ გასწევ, ხვრელში მასთან ერთად იოლად გაძვრება ძაფიანი ნემსიც.

● ხალიჩის წიბო ხშირად თავს ზევით სწევს და მალე ცვდება ხოლმე. თუ ხალიჩის წიბოს ქვედა მხრიდან ოცმილიმეტრიან მკვრივ თასმას ამოაკრავ (შეგიძლია იხმარო ბფ-6 წებო), ხალიჩა გაცილებით მეტ ხანს მოგემსახურება.



ეიფელის კოშკი... პეტერბურგში

ალბათ არ არსებობს ადამიანი, რომ არ იცოდეს ეიფელის კოშკი პარიზში, მაგრამ, ყველამ როდი იცის, რომ თურმე პეტერბურგშიც არსებობდა ეიფელის კოშკი.

1890 წელს ბაღ "აკვარიუმის" მფლობელის ინიციატივით უბრალო რუსმა გლეხებმა ააგეს ეიფელის კოშკის კოლოსალური ასლი, რომელმაც მოქალაქეთა აღფრთოვანება გამოიწვია. 35 მეტრის სიმაღლეზე აღმართული ყინულის კოშკი დიდებული სანახავი იყო. განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩეოდა მისი სვეტები და კარნიზები, რომლებსაც დიდი ელექტროფარნებით ანათებდნენ, კოშკის თავი კი ელექტრომზის ნაირფერი სხივებით იყო გალამაზებული.

სამწუხაროდ, პეტერბურგის ეიფელის კოშკმა მხოლოდ თვენახევარი იარსება — გაზაფხულის მზის მცხუნვარე სხივებმა იგი... დაადნო.

ფერადი ძეგლები

თურმე ძველი რომის ძეგლები... შეღებილი ყოფილან. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ქიმიური და სპექტროგრაფიული ანალიზების შემდეგ რომის ეროვნული სარესტავრაციო ინსტიტუტის თანამშრომლები. საღებავების ფენა ფარავდა არქიტექტორული ძეგლების „მხატვრულ დეფექტებს" და ამავე დროს დაზიანებისაგან იცავდა მათ.

დინოზავრები — სპრინტერები

დინოზავრები ტლანქ, უმოძრაო ცხოველებად ითვლებოდნენ, მაგრამ ბოლოდროინდელმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ეს მოსაზრება არცთუ ისე სწორია. შეეძლო კი ათტონიან ტირანოზავრსა თუ ასტონიან ბრაქიოზავრს სწრაფი მოძრაობა?

ამერიკელმა პალეონთოლოგმა ფარლოუმ აღმოაჩინა იგუანადონის (დიდი ზომის ხვლიკის) გაქვავებული ნაკვალევი. მანძილი ნაფეხურებს შორის 2 მეტრს უდრიდა, რაც იმას მოწმობს, რომ ეს გიგანტი საკმაოდ სწრაფად დარბოდა.

სპეციალისტებმა ცხოველთა ნაბიჯის სიგრძის, სხეულის სიმაღლისა და სირბილის სისწრაფის დამოკიდებულებათა ფორმულა გამოიყვანეს. და ამ ფორმულის გამოყენებით გამოიანგარიშეს, რომ ზოგიერთი სახეობის ხვლიკი საათში 40 კმ სიჩქარეს ავითარებდა.

საძიებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ. ცაგარელი — ბუნების ნორჩი ქომაგები (ნარკვევი) . . . . . გარეკ. . . . 2
ლ. შეწირული — თქვენზე ფიქრითა და ზრუნვით (წერილი) 3
ი. ტალიაშვილი — აქილევსი; აგრესორი (მოთხრობები) 5
ნ. ხარაზიშვილი — ძნელად ასახდენი ოცნება (ნარკვევი) 9
ნ. ბეზარაშვილი — სამახსოვრო (მოთხრობა) . . . 11
ვიქტორინა — კონკურსი 13
მ. გელაშვილი — რომ მათ სახეზე ღიმილი ჰყვაოდეს (წერილი) 14
ანი 14
დ. ტყეგუჩავა — წვიმამ გადაიარა ქალაქზე (მოთხრობა) . 20
ა. ბეგეჭკორი — ხიბლი სამშობლოს მშვენებისა (წერილი) 21
კ ო ც ო ნ ი 23
ვ. მათევოსიანი — პური (მოთხრობა) 25
გ. ბარჯაძე — თამაში ოვალური ბურთით (წერილი) . . 28
ა ხ ა ლ ი წ ი გ ნ ე ბ ი 30
გ ა მ ო გ ა დ გ ე ბ ი 30
ჯ ა დ ო ს ნ უ რ ი ს ა რ კ ე . . . . . გარეკ. 3

გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა აკაკი თევზაძისა.

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ნუგზარ აფხაზავა, ზურაბ გოცვაძე, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, როგერტ ღარიბაშვილი, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი (პ/მგ. მდივანი), ლიანა შეწირული, ზურაბ წვერიკმაზაშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-31-81, პ. მგ. მდივნის—93-97-03, 93-53-05, განყოფილებების—93-97-02, 93-97-01 გადაეცა ასაწყობად 26. 04. 84 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 18. 06. 84 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90 1/3. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35, შეკვ. 994. ტირაჟი 157000 ეგზ., უე 08033.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников. Выходит один раз в месяц на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат 60×90 1/3, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35.
Тираж 157.000 экз. Цена 20 коп.

© „პიონერი", 1984 წ.

რომელი საათია?

არცერთი ამ საათთაგანი ზუსტ დროს არ უჩვენებს; ერთი ნახევარი საათით ჩამორჩება, მეორე ორმოცი წუთით წინაა, მესამე კი საერთოდ გაჩერებულია.

რომელი საათია?





ანაგრამა

(ასოების გადასმა ისე, რომ ერთი სიტყვიდან სხვა სიტყვა მივიღოთ).

●

გვინდა ვაზის ნასხლავი,
გაიხსენებ სწრაფად,
არც ბგერების გადასმას
უნდა დიდი ჯაფა. —
სამკურნალოდ ხმარობენ,
რა ყოფილა, აბა?

●

ის ფასის მთიდან გამოდის
და მერე შავ ზღვას ერთვის,
თუ ასოების გადასმაც
ძნელი არ არის შენთვის,
რომელ მცენარეს მიიღებ,
გამაგებინე, ერთი?

●

პირველი მხატვრის ფუნჯია,
გეცოდინება ნამდვილად,
მერე სიტყვაში ასოებს
გადაადგილებ ადვილად
და იმ თავლია ღუმელზე
მწვადსაც შეიწვამ სადილად.

●

მოიძებნოს უნდა
ანაბერი ფიქვის,
სურნელებას აკმევს,
სანთელივით იწვის.
თუ გადასვამ ბგერებს
ცხოველია მაშინ,
სხვა სახელიც ჰქვია,
გამოიცნობ წამში.

მეტაგრამა

(სიტყვის რომელიმე ასოს შეცვლით მიღებული მეორე სიტყვა).

●

ის მცენარე წყნარ
ამინდშიც
ფოთლის ტაშით შეგხვდება,
მისი ნერგი გასახარად
შენც ჩაგირგავს ეგება.
წინა ხმოვანს თუ შეუცვლი,
გამოგივა ფრინველი,
მეტად გრძელი ნისკარტი
აქვს,
ვინ მიხვდება პირველი?

●

სამეფო სკიპტრის მეორე
სახელს თუ უცებ მეტყვი,
მერე აღარა უნდა რა
თანხმოვნის შეცვლის
მეტი, —
ყინულს გატეხავ თუ არა,
ვერცხლს აღმოაჩენ იქვე,
ვერცხლის შიგნით კი
ოქროა,
რა არის, მითხრა იქნებ?

●

შეცვალე გრძელყუნწიანი
ნაყოფის წინა ბგერა
ახალი მთვარის მსგავსია,
რქოსანის ჩლიქზე ელავს.
კვლავ შეუცვალე ის ასო,
რომელიც თავში ახლავს
და ნაქსოვს ნაირფერებად
კედელზე გაკრულს ნახავ.
მერე იმ საწყის თანხმოვანს
თუ გამოუცვლი კიდევ,
ქვა წითლად შემოგანათებს,
სახელს შენ უნდა მიხვდე.

●

საკრავი არის იგი,
მწამს გამოიცნობ წამში:
მას რომ უწყალოდ სცემენ,
სხვები ცეკვავენ მაშინ.
შიდა თანხმოვნის ნაცვლად
თუკი სხვა ასოს ჩართავ,
სახეობაა სპორტის,
ვაუკაცურია მართლაც.

●

ეკლიანი ბალახია,
ადვილია მიგნება,
დასაწყისი თანხმოვანი
შეუცვალო იქნება,
ენა კედლებს ეხეთქება,
ხმა გუგუნით იფრქვევა

შ. ამირანაშვილი

გამოცანები

ერთ უჩინმაჩინს ვიცნობ,
მოსახელეთებელს ძნელად,
კლდეში და ეხში ცხოვრობს,
არა ტყეში თუ ველად.
თუ დაუძახებ რამეს,
გეპასუხება ხელად.

●

ამ უკუდო რკინის რაშმა
უცებ კუდი გაიჩინა,
მიწისპირი გადახნა და
წმინდა კვალი დააჩინა,
ხან ჩაძვრა და ხან ამოძვრა,
ვერცხლის ფერად გაიცინა,
თვითონ დარჩა უვნებელი,
კუდი ნახნავს შეარჩინა.

●

სექტემბერი...
საღამო...
მშვიდზე მშვიდი ამინდი...
ტყის ბილიკზე შემომხვდა
შუბოსანი რაინდი.

მე მას ვიცნობ,
როგორც მშვიდს,
არა ჭინჭყლს და ჩხუბიანს,
თუმცა ერთი კი არა,
ასი ბასრი შუბი აქვს.

შემთხვევით თუ
შემოგხვდეთ,
თქვენც ნუ შეგეშინდებათ:
ის შუბები მას თავის
დასაცავად სჭირდება.

ნ. მარიხია

პასუხი № 5-ში მოთავსებულ „ცხრაკლიკულზე"

კროსვორდი

ზვეულად: 1. ჩაი; 2. უფა; 7. აკლიმატიზაცია; 8. ალოე; 10. კოდა; 21. თასი; 22. რუკა; 29. დაუ; 30. „ალი".

თარაზულად: 3. ვალე; 4. რაფა; 9. ნუკრი; 11. თოლია; 13. კროლი; 16. სოჭი; 17. რტო; 18. ფსოუ; 23. ხოხტა, 25. კუკია; 26. სეიფი; 31. ფაზა; 32. „დილა".

რკალურად: 5. ალექსანდრია; 6. ეხენცია; 12. ბარიერი; 14. ქრესტომათია; 15. კარდინალი; 19. კარდანახი; 20. კარდიოგრამა; 24. კონსული; 27. კარიერი; 28. მადაგასკარი.

შარადები

ბაირაღი, სკამი, თბილისი.

თავსატეხი

დგანან: სოფიო, თამარი, ზინაიდა, ზოია.

გამოცანები

ციფრები, საცერი, თახვი.

აბა, გამოიცანი

ფინიშის ხაზი პირველმა ვარდიაშვილის მოტოციკლმა გადაკვეთა. ამ ოთხი მოტოციკლიდან რომელით გამოდიოდა ვარდიაშვილი?



001/58

ალექსანდრე დალაქიშვილი, 9 წლის.

ფასი 20 კაპ.
ინდექსი 76157